წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. ხუთშაბათი, 9 თებერვალი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივ შრიფტით პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 31 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 31

გაზეთი
„საქართველო“
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 თებერვლიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქარ.“ ეღირება 13 მ.—75 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ეფროსინე იაკობის ასული ჭიჭინაძისა, შვილები: ბესარიონ ალექსის ძე და თამარ ალექსის ასული უცხადებენ გულითად მადლობას იმ დაწესებულებათ, სასწავლებლებს და კერძო პირთ, რომელთაც პირადათ, დეპეშებით ან წერილებით გაინაწილეს მათი ღრმა მწუხარება

ალექსი ბესარიონის ძის
ჭიჭინაძის
უეცარ გარდაცვალების გამო.
(1—520—1)

გულმოკლულნი ძმა გიორგი ალექსანდრეს ძე მესტიაშვილი და მეუღლე მისი მარიამ იაკის ასული, ბიძაშვილი ევა გიორგის ასული მესტიაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 7 გარდაიცვალა

ნინო ალექსანდრეს ასული
მესტიაშვილი
მიცვალებულს გამოასვენებენ ბინიდან (ტურგენიევის ქუჩა № 3) თებერვლის 10, დილის 10 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.
(1—563—1)

ღრმად დამწუხრებული და გულდათუთქული მეუღლე ლეონინე ნიკოლოზის ასული, შვილები: ლუბა, ალექსანდრე, მარიამ, პაშა და ფუცა აბდუშელიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ თებერვლის 1-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი მეუღლე, ხოლო დანარჩენთა უძვირფასესი მამა

ივანე ოქროპირის ძე
აბდუშელიშვილი
დასაფლავება მოხდება თებერვლის 9-ს, სოფ. ბუ..ნევში.
(1—565—1)

ახალი კლუბი
შაბათს, 11 თებერვალს,
ქართული საკველმოქმედო საზოგადოება
თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად გამართავს
დიდს საღამოს
პროგრამა:
1) ოპერა ლაკმე, ქართულად. მეორე მოქმედება. მუსიკა დელიბესი. ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით.
2) ციგანთა ბარონი, პირველი მოქმედება. მუსიკა ზუპეჲი. ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით.
3) ეროვნული ცეკვა სცენაზე და სხვა.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება ახალ კლუბში და ძმური ნუგეშის სახაიეში.
საღამოს დიასახლისი კნ. ნ. კ. ჩოლოყაშვილისა.
მთავარი გამგე თავ. მ. დ. ჭავჭავაძე.
(2—560—2)

ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
თბილისის განყოფილების
დამფუძნებელი კრება
გაიმართება 12 თებერვალს.
კრებამ, სხვათა შორის, განყოფილების გამგეობის წევრნი უნდა აირჩიოს. გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელიც ამ ჟამად წ.-კითხვის გამ. ვრც. საზოგადოების წევრად ითვლება და ამას გარდა გადახდილი აქვს 1917 წლის საწევრო ფული, ან გადაიხდის კრების დღემდე. საწევრო ფულს იღებს განყოფილების დროებით გამგეობის წევრი ივანე ავალიშვილი წ.-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
(3—566—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
ხუთშაბათს, 9 თებერვალს,
სინემატოგრაფი, საზანდარი,
სიმებიანი ორკესტრი
სტუმრები საზოგადო წესით. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.
(1—564—1)

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა
ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.
გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:
ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.
გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.
წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.
წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.
(10—555—2)

ექიმი
გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
გ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმმა
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანჯანოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9 1/2-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და ხიმშიევის ქუჩის კუთხეზე, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის აკვლედიანისა

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

## პოლონეთი და საქართველო

მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დიდის პიროვნების ავაზაკური მკვლელობა მოხდა. სამ გზის ხმლის მოქნევით გასჩეხეს პოლონეთი. დასისხლიანებულ სხეულის ჩამოჭრილი ნაწილები მეზობელ სახელმწიფოებმა შემოიერთეს; და პოლონეთიც, ეს დიდი კულტურული და პოლიტიკური ერთეული, ერთ დროს თავმომწონედ რომ ბრწყინავდა, სრულიად წარიხოცა ევროპის პოლიტიკურ რუკიდან. დამოუკიდებელ არსებობის დღენი პოლონეთის ძველმა სამეფომ უკანასკნელად 1795 წელში დაჰლია. ისტორიულ მოვლენათა პარალელიზმი რომ ვიხმაროთ, „ქართლის ბედიც“ სწორედ ამ შავად მოსაგონარ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წარიკვეთა. აღა მამად-ხანმა საქართველოს გულს სწორედ ამ წელს ჩაასო მოშხამული ხანჯალი. მაგრამ, თუ საქართველო თავის უბედობით პოლონეთს მიემზგავსა, ეს სრულებით იმას არ ნიშნავდა, რომ პოლონეთი თავის გაბედნიერების შანსებს საქართველოს გაუნაწილადებდა. პოლონეთი დასავლეთ ევროპისა და აზიის ვეება უკულტურო სახელმწიფოს შუა მდებარეობდა. თუ ამ უკანასკნელის ტანიდან პოლონეთის სახეს მხოლოდ ბნელი შეეფინებოდა, სამაგიეროდ საფრანგეთიდან, დასავლეთ ევროპის ხმელეთს რომ მაშინ ბატონობდა, ნათელი სხივი შემოადგებოდა და პოლონეთიც იმედის პენომბრში ცხოვრობდა. გამოცოცხლება და აღდგენა სჯეროდა მტკიცედ და მოელოდა დარწმუნებით. ნაპოლეონის ეპოქა იყო იმ დროს. პოლონეთმა იმედები ამ მსოფლიო სარდალზე დაამყარა და რამოდენიმე ათასი პოლონელი ლეგიონერი მის განკარგულებას მისთავაზა. თავგანწირვით იბრძოდენ პოლონელები საფრანგეთის ჯარში იტალიის გაშლილ ველზე, შვეიცარიის მთის ვიწროებსა თუ თვით ილირიის პროვინციებში. არა მარტო ძველ ქვეყნის დასაპყრობად მოიხმარა ბონაპარტემ პოლონელთა შმაგი ლეგიონები. ახალ ქვეყნის ასპარეზზედაც კი გაისტუმრა ისინი,— ამერიკაში, სან დომინგოს კუნძულზე, სადაც სათითაოდ ჩაჰყარეს თავიანთი ძვლები სამშობლოს იდეისათვის სხვის სადიდებლად მებრძოლებმა! სამშობლოს სიყვარულმა მსხვერპლის დაზოგვა არ იცის.

პოლონეთი პრუსიამ, ავსტრიამ და რუსეთმა გაინაწილეს თავიანთ შორის. ხოლო პოლონეთის ამ მკვლელებს მაშინ ნაპოლეონი ებრძოდა. და რა გასაკვირალი იყო, რომ მთელის პოლონეთის სიმპატია ამ კორსიკელ აზნაურის მხარეზედ ყოფილიყო და მისი გამარჯვება რომ პოლონეთის გაცოცხლების სანიმნად ჩაეთვალა! მაშინდელი ისტორიული გარემოების ანალიზი მთელის პოლონეთის სუბიექტიურ სულიერ აღძვრას სავსებით შეეხამებოდა და პოლონეთის ხალხის ფრანგულ ორიენტაციას ერთიანად ამართლებდა. და ამიტომაც იყო, რომ 1795 წელს თავის დამოუკიდებლობის სავსებით დამკარგველი პოლონეთი უკვე 1798 წელს თავის კეთილშობილ სისხლს საფრანგეთის დროშის ქვეშ ღვრიდა. ჭრილობის სახელი, ჯერ კიდევ მთელის არსებით ცოცხალი განცდა და გრძნობა გუშინდელი თავისუფლებისა ფრთას ასხამდა პოლონეთის გულის თქმას და გმირობის ენერგიას ჰმატებდა განმათავისუფლებელ საფრანგეთის ჯარში ბრძოლისათვის.. ალღო სწორედ იყო ართმეული...

პრუსიაზედ გამარჯვების უმალ, ნაპოლეონმა 1807 წელს, ტილზიტის ხელშეკრულობით, დამარცხებულ მოპირდაპირეს ჩამოართვა პოლონეთის ის მიწა-წყალი, რომელიც პოლონეთის მეორე და მესამე განაწილების დროს (1793 და 1795 წ.წ.) მას შემოუერთებია. ამ ჩამორთმეულ ადგილებიდან ბონაპარტემ ვარშავის საჰერცოგო შექმნა და მასზედ პირადი პროტექტორატი გამოაცხადა. არის საბუთები, რომ ნაპოლეონს ვარშავის საჰერცოგო გაფართოებულ და გაერთიანებულ პოლონეთის სახელმწიფოს პირველ ბირთვად ჰქონდა დასახული. „მსოფლიო მონარქიის“ მოტრფიალეს აზრად ჰქონდა რუსები დნეპრისა და დასავლეთ დვინის იქით გადაერეკა და ეს დაცლილი ადგილები პოლონეთის სამეფოსთვის დაებრუნებია. მაგრამ დამარცხდა ნაპოლეონი. ამასთან ერთად ჩადგა აღტყინებული მღელვარება პოლონეთისა. მისი იმედები დაიმსხვრა. მხოლოდ და სასოწარკვეთილების ცივმა გრიგალმა დაიყმუვლა ერის დაობლებულ გულში. საფრანგეთმა ვერ აღადგინა პოლონეთი. ნაპოლეონმა ვერ გაამთელა სამად გაჭრილი ერის სხეული, სანატრელი თავისუფლება მას ვერ დაუბრუნა.

საქართველო სხვაგან მდებარეობდა, შორს იყო მისგან ევროპაც და ნაპოლეონიც. სამხრეთიდან შავი და ბნელი შემოსწოლოდა მას; ჩრდილოდამ წამოსულმა ნისლმა შეჰრაგნა. აღმოსავლეთით უიმედო სივრცე და უნუგეშოდ დაკარგული ხალხები მოსჩანდნენ. დასავლეთით მის სანაპიროებს ცივი ზღვა რეცხდა მხოლოდ, ზღვა შავი! ქვეყანას ნამდვილი აღმოსავლეთი დაჰკარგოდა. ჩაშავებული იყო მის ცის გუმბათი. გულ-დახურულად გლოვობდა საქართველო ქედით, ზღვებითა და ისლამით ულმერთოდ და უმოწყალოდ შემოსალტული! იმედისა და სინათლის სხივი არსაიდან მოდიოდა. მწუხრის ზეწარი იმედით არ იცხრილებოდა. საერთაშორისო ურთიერთობა იყო ისეთი, რომ საქართველოს გეოგრაფიას მარტოოდენ უბედურობის მომატება თუ შეეძლო მისთვის, თორემ სხვა არაფერი. ჰბორგავდა ბედთან შეურიგებელი, მაგრამ მალე დაიცხრეს. მთიულეთის ამბოხება მთიულეთს არ გასცილებია, კახეთისა—კახეთსა, რადგან საქართველო აღარსად იყო. მშფოთვარე აკვანში ჩააწვინეს და არტახები შემოუჭირეს. მიზეზიან ბავშვად თუ მიიჩნიეს ერი, რომელსაც ათას წლების ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური სიცოცხლე ჰქონდა. ასე დაიდგა სამხრეთის აკვანი. დასავლეთითაც იდგა მეორე აკვანი, რომელშიაც პოლონეთი იყო ჩაკრული. ასე იდგნენ ეს აკვნები მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ერთი გაზმორება კი ერთად გაიზმორეს შიგ ჩაწვენილებმა, 1830 წელში. ვისაც მეტი მოუვიდა, იმას უფრო მაგრად აუწიეს ყური—განსხვავება მხოლოდ ეს იყო. ორივეს შემოათენდა მეოცე საუკუნე. ამ საუკუნის ცისკარზე ქვეყანა ისევე აიშალა, როგორც აშლილიყო იგი აწ მიცვალებულ საუკუნის განთიადზედ. პოლონეთიც თვის ძველ გეოგრაფიით შეხვდა ამ აშლას და საქართველოც. ყველა შეურაცყოფილ და გაწბილებულ ქვეყნებს იმედები გაეღვიძა; რასაკვირველია, პოლონეთსაც და საქართველოსაც. გარნა პოლონეთის გეოგრაფია ეხლა ნამდვილი ქუდბედიანი გამოდგა: პოლონეთი დღეს განთავისუფლდა. საერთაშორისო ურთიერთობამ მოისურვა, რომ თავისუფლების გვირგვინი პოლონეთის თავზედ ნაპოლეონის ხელებს კი არ დაესვენებინა, არამედ ვილჰელმ მეორისას, იმ პრუსიის მეფის ხელებს, რომლის ინტრიგების წყალობით მოხდა პოლონეთის პირველი განაწილება, ამ 144 წლის წინად!

1916 წლის 5 ნოემბრის თარიღით საძირკველი ჩაეყარა პოლონეთის სამეფოს. იმ თავითვე მოქმედებას შეუდგა პოლონეთის სახელმწიფო საბჭო, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებს და სახელმწიფოებრივ წყობილების საფუძვლებს განამტკიცებს. შეერთდნენ პოლონეთის ყველა პარტიები და პოლონეთის სახელმწიფო საბჭო დიდის ზეიმით მთელ პოლონეთის დროებით მთავრობად გამოაცხადეს. არჩეულია სასეიმო კომისია, რომელმაც პოლონეთის მომავალ სამეფოს ძირითადი კონსტიტუცია უნდა შეიმუშაოს. სწრაფად მიმდინარეობს მუშაობა. მალე სეიმიც შეიკრიბება,—პოლონეთის სამეფოს საკანონმდებლო პალატა. მაშინ მოხდება პოლონეთის დაქვრივებული ტახტის აღდგენა, მეფის დანიშვნა. და ამგვარად, ახლად აღიმართება პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო იმავ დასავლეთ ევროპისა და აზიის დიდ სახელმწიფოს, რუსეთის, ზღურბლზედ. პოლონეთის ერი წელში იმართება და თავისუფალ შემოქმედების გზას ადგება. ერის შებოჭილი ნიჭი და გენიოსობა გაიხსნება. კაცობრიობას ემატება კულტურისა და პროგრესის ახალი აგენტი. დიდი ისტორიული მოვლენაა...

ასეთი იღბლიანი არც ეხლა გამოდგა საქართველოს გეოგრაფია. მის შემომხაზავ ძალთა უძრაობა და სიბნელე ამის ნებას არ იძლეოდა. მაგრამ არც საერთაშორისო ურთიერთობაა დღეს ისეთი, რომ საქართველოს გეოგრაფიამ საქართველოს ბედნიერება შეუძლებელი გახადოს, როგორც წარსულში იყო. მაძიებელი, წინსწრაფი და მომქმედი ევროპა ბევრ ქვეყნებს და ხალხებს საერთაშორისო ღირებულებას მატებს, სხვა და სხვა ძალა-მოსაზრების ზეგავლენით. ამ პროპორციით იზრდება და მატულობს საქართველოს გეოგრაფიის საერთაშორისო ობიექტიური ღირებულებაც. დღეს ამას ზედ ერთვის დიდ სახელმწიფოთა ახალი უფლებრივი შემეცნება როგორც წვრილ ერთა უფლებაზე, აგრეთვე და საზოგადოდ საერთაშორისო ურთიერთობაზედაც. ჩვენ შინაგან სუბიექტიურ მომზადებასთან ერთად ამ ორ ობიექტიურ ფაქტორის შეხავებამ უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ქუდბედის ჩამოგზავნას. სამართალი მოითხოვს ერთმანერთს არ დაშორდნენ პოლონეთი და საქართველო, ეს ისტორიული თანაგზავრნი. ისტორიამ გამოასწორა თვისი ავკაცობა პოლონეთის მიმართ, ეხლა კი ამნისტია საქართველოს უნდა გამოეცხადოს.

ს. კედია.

# წესიერების დაცვა თუ დარღვევა?

კულტურულ ერთა მოქალაქეობრივი ცხოვრება ველურთა ყოფისაგან უწინარეს ყოვლისა იმით განირჩევა, რომ ეხლანდელ კულტუროსან ერებს ადამიანის სიცოცხლის, პიროვნების, საკუთრების და თავისუფლების უზრუნველყოფის საჭიროება შეგნებული აქვთ. აქ საზოგადოება კანონსა და სახელმწიფოს ექვემდებარება და არა უხეშ ძალას, როგორც წითელკანიან ველურთა წრეში. სამწუხაროდ, ველურთა ზნე-ჩვეულებისა და წყობილებისათვის ჯერ კიდევ ვერ დაუხწევია თავი ზოგიერთ თანამედროვე სახელმწიფოსაც, რომელსაც თავი კულტურულად და ცივილიზაციით აღჭურვილად მოაქვს. ამის სავალალო ნიმუშებს ჩვენი დღევანდელი ვითარებაც ბლომად გვაძლევს.

ვინ იცის, რამდენჯერ აღგვინიშნავს ჩვენის გაზეთის ფურცლებზე მთავალი მაგალითი იმისა, ჩვენს ქვეყანაში რომ თანდათანობით ვრცელდება ყოველგვარი ავკაცობა და ბოროტ-მოქმედება. ძარცვა-გლეჯა, დარბევა და მკვლელობა—გადამდებ სენივით ედება ჩვენს სოფლებს. ეს უბედურება არც თუ რომელსამე კუთხისაა, ვთქვათ ქართლისა ანუ სამეგრელოსი, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისა. ბოროტი ინსტიქტები და ავი სულის კვეთება დაბადა საზოგადოებაში საშინელმა ომმა და მისგან მოვლენილმა უბედურობებმა. მთელ კუთხეების დამშევა, ჩვენ რომ ამ უკანასკნელ წლებში ყოველ წლივ გვწვევია, რასაკვირველია, თავის გავლენას მოახდენს საზოგადოებრივ წესრიგსა და მყუდროებაზე. ცნობილია, რომ სიმშილობა საზოგადოებაში ყოველთვის ავკაცობასა და ბოროტებას წარმოშობს და ეს შემჩნეულია ისეთს სახელმწიფოებშიაც, სადაც წესიერი და მტკიცე მოქალაქეობრივი ცხოვრებაა დამყარებული. არ არის გასაკვირველი, რომ ჩვენს, მშრომელთაგან დაცლილსა, დამშეულსა და გალატაკებულს სოფელში ავმა ინსტიქტებმა დაისადგურეს. ყოველთვის მოიძებნება ხალხში ნაძირალები, რომელნიც სოფლის გაჭირვებით ისარგებლებენ.

მაგრამ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ხალხს იმისთვის შეუქმნია, რომ მან იკისროს საზოგადოებაში წესრიგის დამყარება და დაიცვას სუსტნი ბოროტებისა და ავკაცობისაგან. რისთვის ინახავს ხალხი აუარებელ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს—სოფლის ჩაფრებიდან დაწყებული მთავრობის უმაღლეს ორგანოებამდე, თუ კი დაცული არ იქნება ადამიანის სიცოცხლე და საკუთრება? როდესაც საზოგადოებაში ბოროტება ჩვეულებრივს ზომას სცილდება და ფართოდ გავრცელებას იწყებს, მთავრობის მოვალეობაა, რომ მან ამის წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომები გამონახოს და ხალხის განსაცდელს შესაფერისი საშვალებით შეებრძოლოს. იმან უნდა მიმართოს საზოგადოებრივ ძალთა დახმარებას, თუ სხვა ზომებს.

სამწუხაროდ, ჩვენში ამას ვერ ვხედავთ. იმ ორგანოებს, რომელთა დანიშნულებას წესრიგის დამყარება და ბოროტ-მოქმედებასა და ავკაცობასთან ბრძოლა შეადგენს, თავის მოვალეობა მეტად უკუღმართად ესმისთ. ერთი ბოროტების მაგიერ, ისინი მეორეს და ხშირად, უარეს ბოროტმოქმედებას სჩადიან და, რასაკვირველია, მით ბედშავის ხალხის გაჭირვებას ერთი-ორად აორკეცებენ. წარმოუდგენელია სოფლის სასოწარკვეთილება და უმწეობა, როდესაც მას სწორედ ის ჩაფრები და სტრაჟნიკები ავიწროვებენ და არბევენ, რომელნიც სწორედ მის მცველებად არიან დანიშნულნი. ასეთი შემთხვევები არა ერთხელ აღუნიშნავსთ ჩვენს პრესაში. მაგრამ ის, რასაც ბ. Legatus მოგვითხრობს დღევანდელს ჩვენს გაზეთში, ქართლის სოფლების შესახებ, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. საშინელებაა სოფლის ასეთი ვითარება, და დიდი დანაშაული იქნება ჩვენის საზოგადოებისთვის, თუ ამგვარი აღვირწახსნილობის ალაგმვას ვერ მოვახერხებთ. თუ ჩვენში ასეთი განწყობილება დამყარდა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, ნაცვლად ავაზაკობასთან ბრძოლისა და ხალხში წესიერების და მშვიდობიანობის დამყარებისა, თვითონ არბევენ და ავიწროვებენ უპატრონოდ დარჩენილ ოჯახებს, მოქალაქეობრივი ცხოვრების ამაზე უფრო მეტად დარღვევა და დამლა ძნელი წარმოსადგენი იქნება.

ი. მალი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

აღმოსავლეთის ბრძოლის ასპარეზზე, სახელდობრ, სოფ. სლავენტინთან, გერმანეთის ერთი ბათალიონი იერიშით წამოსულა, მაგრამ რუსებს მალე შეუჩერებიათ. თავისთავად ეს ცნობა არც ისე საგულისხმოა. ერთ ბათალიონის იერიში უფრო საზვერავ მნიშვნელობით იქნებოდა გამოწვეული. თუ მაინც და მაინც ჩვენ ამ ფაქტს ვეხებით, მხოლოდ იმიტომ, რომ სლავენტინი იმ ბროდი-გალიჩის ხაზზე მდებარეობს, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მთელ გალიციის ასპარეზისათვის. ჩვენ უკვე კარგათ ვიცით ყველა ის ადგილები, სადაც გერმანლები დრო და დრო დაიწყებენ ხოლმე ადგილობრივ ხასიათის ბრძოლას. იაკობენი, ტყიანი კარპატები, სლავენტინი, კისელინი და შემდეგ რიგადვინის ხაზი, მეტად მნიშვნელოვანი პუნქტებია და გერმანელებიც ყოველთვის აქ არიან ფხიზლად და ყოველ წამს მტერს ზვერავენ და აწუხებენ. მიუხედავათ მრავალ მხრივ გავრცელებულ ხმებისა შესახებ იმისა, ვითომ გერმანელები თავს უყრიან აუარებელ ჯარებს დასავლეთის ასპარეზზე, აღარც იმას მალავენ, რომ მოპირდაპირემ აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე შედარებით წარსულ წელთან დიდათ გააძლიერა თავისი ჯარები. რასაკვირველია, წინასწარმეტყველობა მეტად ძნელი საქმეა და გადაჭრით რაიმე გადაწყვეტილების გამოტანა ხომ მხოლოდ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთაა, ყოვლად შეუძლებელი ხდება. ეს კია, ახლა ზოგიერთი რუსეთის სამხედრო მიმომხილველი უკვე იზიარებს იმ აზრს, რომ აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მართლაც მოსალოდნელია გაზაფხულზე დიდი გენერალური ბრძოლებიო.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

8 თებერვალი.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. პოდგაიცის ჩრდილო-დასავლეთით სლავენტინის მიდამოებში, მოპირდაპირე შეჯგუფებული რაზმებით იერიშით წამოვიდა, მაგრამ სროლით უკუვაგდეთ და ისევ თავისს სანგრებში მივაბრუნეთ.

**რუმინეთისა და კავკასიის ასპარეზზე** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**შავი ზღვა.** ბოსფორთან ჩვენმა წყალქვეშამ დაძირა ერთი პატარა გემი და 8 იალქნიანი სანდალი.

5—6 თებერვალს სმორგონის მიდამოებში ჩვენმა მფრინავმა პრაპორ. ტომსონმა ბრძოლის შემდეგ გერმანელების 2 მფრინავი უკან გააბრუნა.

## გემების დაღუპვა.

**პარიზი.** ოფიციალი ცნობით 3—6 თებერვალს დაუღუპიათ ინგლისისა 10 გემი, იტალიისა—2 იალქნიანი გემი, ჰოლანდიისა და ნორვეგიის თითო გემი.

## ჩინეთი

**პეკინი.** ვიცეპრეზიდენტმა ფიგონჯანმა მთავრობის ნაბიჯი გერმანეთის მიმართ გადადგმული მოიწონა მხოლოდ მას მერე, როცა დაარწმუნეს, რომ ჩინეთს არ განუზრახავს მოკავშირეების მიმხრობა. მან მხოლოდ ამერიკის მაგალითს მიჰბაძაო.

## იაპონია.

**ტოკიო.** გერმანეთის მიერ წყალქვეშ ბრძოლის გამოცხადების გამო მენავეთა ამხანაგობამ „ნიპონ იუსენ კაიზამ“ გადასწყვიტა შეაიარაღოს ნელამავალი გემები, რომლებსაც ევროპისაკენ ჰგზავნის ხოლმე.

## საფრანგეთი.

**პარიზი.** პუანკარემ დღისით სადარბაზოდ მიიღო ბერლინში შეერთებულ შტატების დესპანად ნამყოფი ჯერარდი.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატის საზღვაო კომისიამ ლეფევრის წინადადებით გადასწყვიტა 500 ათასი ფრანკი აძლიოს ჯილდოთ ყოველ წყალქვეშა ნავის დაღუპვისა თუ დატყვევებისათვის.

**პარიზი.** ოფიც. ცნობა. უაზსა და ენს შუა ოვაკურის მიდამოში ზარბაზნების ცხარე სროლა იყო. ფლირეს ჩრდილოეთით და ვატერვილეს დასავლეთით მოულოდნელად დავეცით მტრის თხრილებს და ტყვეები წამოვიყვანეთ.

## ინგლისი

**ლონდონი.** თემთა პალატაში კარსონი ოთხშაბათს წარადგენს კანონპროექტს, რომლის ძალითაც ფლოტის შემადგენლობაში 400 ათასი აფიცერი და მეზღვაური უნდა იყოლიონ. უნდა გადაიდოს 182 ათასი გირვანქა სტერლინგი.

**ლონდონი.** საფრანგეთის ასპარეზზე მომქმედ ინგლისის მთავარშტაბის საღამოს ოფიც. ცნობა. სუშეს სამხრეთით დღეს დილით მარჯვეთ დავეცით მტრის სანგრებს, ავაფეთქეთ ნაღმის გალერეია და ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვე.

**ლონდონი.** თემთა პალატაში ბონარ ლოუმ შეკითხვის პასუხად განაცხადა: შემოზიდვის შემცირების თაობაზე პრემიერ მინისტრი ოთხშაბათს მოგახსენებთო. საქმე შეაფერხა ამის თაობაზე წარმოებულმა მოლაპარაკებამ მოკავშირეებთან და ინგლისის ახალშენებთანაო. საიმპერიო კონფერენციის სამოქმედო გეგმა მაშინ შემუშავდება, როდესაც ავტონომიურ ახალშენებიდან წარმომადგენელნი ჩამოვლენო.

## საბერძნეთი

**ათინა.** ათინაში კაცის თავზე 25 გრამ პურს იძლევიან დღეში. გაზის განათება პარასკევს შესწყდა. ბევრი სამრეწველო გაუქმებულია.

## ავსტრია

**ციურიხი.** ავსტრიაში არსებულმა გერმანელთა ყველა პარტიებმა, ქრისტიან სოციალისტთა გარდა, მინისტრპრეზიდენტს კლამ-მარტინიცს შემდეგი მემორანდუმი წარუდგინეს: 1) გერმანეთთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება და ეკონომიური დაახლოვება, რათა მერმისში შეიძლებოდეს საზიარო ეკონომიურ ხელშეკრულებათა დადება სხვა სახელმწიფოებთან; 2) ურთიერთის გარანტია მაზრებისა, 3) ცისლეიტანის კონსტიტუციის რეფორმა; 4) რაიხსტაგის ახალი ნაკაზის შემოღება; 5) გერმანული ენის აღიარება სახელმწიფო ენად; 6) ავსტრიელ გერმანელების უპირატესი მდგომარეობა მათი თვალსაჩინო მნიშვნელობის მიხედვით, 7) ჩეხიის ავტონომიის დაცვა, მხოლოდ ადმინისტრატიულად ორად უნდა გაიყოს გერმანულ და ჩეხურ ოლქებად, 8) ვენას და მის პროვინციებს გერმანული ელფერი უნდა მიეცეს, რადგანაც მოსახლეობის უმრავლესობას გერმანელები შეადგენენ, 9) გალიცია უნდა გამოცალკევდეს, მხოლოდ ისე, რომ ამითი სახელმწიფოს მთლიანობა არ დასუსტდეს, 10) ავსტრიის ეკონომიური ინტერესები თავგამოდებით უნდა დაიცვან უნგრეთის მიმართ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## გერმანეთი

**რამ გამოიწვია წყალქვეშა ბრძოლა.**

ამერიკაში ნამყოფ გერმანეთის დესპანი ვაშინგტონიდან უკვე ბერლინში მისულა. მასთან ერთად ჩამოსული ამერიკელი გადმოგვცემს იმ მიზეზებს, თუ რამ აიძულა გერმანეთი წყალქვეშა ბრძოლის გასაძლიერებლად: გერმანეთის მთავრობა დღეს ორი პარტიის გავლენას განიცდის და ორივე პარტია ზავის ჩამოგდებას მოითხოვს. ერთი სოციალისტებია, რომლებიც არწმუნებენ მთავრობას, რომ გერმანეთის ქალაქის მცხოვრებნი ველარ აიტანენ უსურსათობასაო; მეორე მხრივ მსხვილი მრეწველნი და სამხედრო საქმის მოიჯარადენი, რომელნიც დოვლათით ყელამდე აივსნენ და ახლა ეფიქრებათ—თუ ომი კვლავ გაგრძელდა, გერმანეთი დიდად დავალიანდება და ჩვენი ქონების ნაწილს სახაზინოდ ჩამოგვართმევენო.

ამას გარდა, მრეწველთა გულის წუხილი უფრო ღრმა და არსებითი მეორე მხრივაც არის. ომიანობის გამო მთავრობამ ყველა ქარხნები და სამრეწველოები თავის საკუთრებად ჩამოართვა, თავისი მოხელენი ჩაუყენა და ისინი კი მთლად ჩამოაშორა საქმეს. ამ წესით მრეწველობის განაწილება იმდენად სამართლიანი გამოდგა, რომ სოციალისტური გაზეთები მოითხოვენ, წარმოების ასეთი სოციალიზაცია ომის მერეც დარჩესო. „ფორვარც“-ი სწერს: რაკი ამ გზაზე ფეხი შევდგით, უკან დაბრუნება აღარ შეიძლებაო. მართალია ზავის ჩამოგდების მერე კაპიტალიზმი შეეცდება კვლავ დაუბრუნდეს მანჩესტერის პრინციპებს, მაგრამ მაშინ საჭირო იქნება საზოგადო ფინანსების მოწესრიგება და კაპიტალიზმი ველარ მოახერხებს უკან დაბრუნებას.

აი ამ ორი პარტიის გავლენით ვილჰელმის მთავრობა იძულებული გახდა დაუნდობელი წყალქვეშ ბრძოლა გაეჩაღებინა, გამარჯვების დასაჩქარებლადაო.

## ცეპელინები

გერმანეთში ეხლა თვეში 12 ცეპელინს ამზადებენ თურმე. ცეპელინების უმთავრესი დანიშნულება მტრის დედაქალაქზე თავდასხმაა. ლონდონზე თავდასხმის დროს, ცეპელინები 6000 ადლის სიმაღლეს არ დასცილდებიან, რადგანაც საფრენების წინააღმდეგ მებრძოლი ინგლისური ზარბაზნები 5000 ადლზე უწევს 6000 ადლის სიმაღლეზე მყოფთ მფავებადის შესუსტება საჭიროებათ, თურმე. ნ. ვერზოვსკის ცნობებით გერმანელებს ეხლა 80 მეტი სხვა და სხვა სიდიდის ცეპელინი ჰქონიათ, ამათგან 50 ცეპელინი სხვა და სხვა ასპარეზზე მოქმედებს.

## საფრენების ნაღმი

ამერიკულ ჟურნალ „Armand the Man“-ი გადმოგვცემს, რომ ბარლოუს გამოუგონია საფრენებიდან ყუმბარის მაგიერ სასროლი ნაღმი, რომლის სიგრძე 6 ფუტს უდრის. ამ ნაღმის უპირატესობა სასროლ ყუმბარასთან შედარებით ის არის, რომ მისი მიზანში სროლა შეიძლება.

## სანოვაგის რეკვიზიცია

Kölnische Zeitung“-ი იტყობინება: 20 იანვარს რაიხსტაგმა განკარგულება მოახდინა, რაც კი ჰოლანდიიდან და დანიიდან ფესტის ამანათებად შემოიზიდება ერბო, კარაქი, ხორცეული, ქონი, ყველი, შექუმშული რძე და კვერცხი სასურსათო კომიტეტმა უნდა ჩაიბაროს, ვის სახელობაზედაც უნდა იყოს გამოგზავნილი. ასეთ ზომას მისთვის მიჰმართეს, რომ ჰოლანდიასთან და დანიასთან არსებულ ხელშეკრულების ძალით დრო და დრო განსაზღვრული რაოდენობის სანოვაგე უნდა შემოზიდონ ხოლმე და მთავრობამ უნდა შეამოწმოს.

## ამერიკული გემები

პარიზის გაზეთები ბევრს სწერენ ამერიკის ორი სავაჭრო გემის „როჩესტერ“-ის და „ორლეან“-ის თაობაზე. ეს გემები სრულებით შეუიარაღებელი წამოსულან ბორდოსკენ და ზედ მხოლოდ ამერიკელები არიანო. მეორე ცნობა კი გადმოგვცემს, მენავეთა ამხანაგობა ამ გემებს ზღვაში არ უშვებს, სანამ მთავრობა მათ შესაიარაღებლად საკმაო ზარბაზნებს არ მისცემს.

## გერმანელთა ჯარის დანაწილება.

ავსტრია-გერმანეთის ჯარი წარსულ დეკემბერში ასე იყო დანაწილებული: საფრანგეთის ასპარეზზე იყო გერმანელების 128 დივიზია, რუსეთის ასპარეზზე 106 დივიზია, ამაში 65 გერმანელებისა, 39 ავსტრიელებისა, 2 ოსმალებისა. სოლუნის ასპარეზზე იყო 26 დივიზია, ამათში 3 გერმანელებისა, დანარჩენი ოსმალებისა და ბულგარელებისა. იტალიის ასპარეზზე ავსტრიელთა 33 დივიზია იყო.

## გერმანელების ზარალი.

გერმანელების ოფიციალი ცნობებით, უკანასკნელ დროს გერმანელებს დაჰკლებიათ 36,586 მოკლული, 130,676 დაჭრილი, 28,913 უკვალოდ დაკარგული, სულ 169,174.

ომის დაწყებიდან სულ მოკლულია 958,857 გერმანელი, დაჭრილია 2,454,667, უკვალოდ დაკარგულია 528,851, სულ გერმანეთის მთელი ზარალი 3,942,395 კაცს უდრის.

## ნეიტრალთა თათბირი

„Berlingske Tidende“-ს ბერლინიდან ატყობინებენ: ჟენევაში მყოფ ნეიტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ საგანგებო თათბირი აქვთ იმის თაობაზე, რომ გერმანეთს როგორმე შეასუსტებინონ წყალქვეშ ბრძოლა. განსაკუთრებით თავგამოდებით სცდილობენ ამას შვეიცარია, შვეცია და ესპანია.

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**მოსკოვი.** „რუსკოე სლოვოს“ **ატყობინებენ, რომ საეწყებათაშორისო თათბირმა კავკასიის ერობის შესახებ უარყო გადასახადების ცენზი.**

# ახალი ამბავი

**ქართ. სახელოვნომოქმედო საზოგ.** შაბათს, თებერვლის 11, ახალ კლუბში თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლათ გამართავს დიდს საღამოს.

**წერა-კითხვის გამავრც. საზ.** გამგეობამ 7 თებერვალს დაამტკიცა საგანგებო კრების ოქმი. შემდეგ გამგეობამ განიხილა აზრუმში მცხოვრებ ქართველთა განცხადება შესახებ საზოგადოების განყოფილების დაარსებისა აზრუმში და დაადგინა ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდოს ნორმალურ პირობების დამყარებამდე. აგრეთვე დადგენილ იქნა მადლობა გამოეცხადოს 6 ნო და ელისაბედ თავად სვიმონ ანდრონიკაშვილის ახულთ 180 საჟ მამულის შეწირვისათვის ნუკრიანში საზოგადოების სიღნაღის განყოფილებისათვის.

**სახალხო სახლი.** 7 თებერვალს სხდომა ჰქონდა სახალხო სახლის გამგე კომისიას. თავმჯდომარეობდა ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი აათაბეგოვი. ქართულ დრამატიულ საზოგადოების მხრივ დაესწრო ბ-ნი გ. ლასხიშვილი. კომისიამ ამ წესით გაანაწილა დრო სახალხო სახლში მარტისა, აპრილისა და მაისის განმავლობაში: 1) ქართულ, რუსულ და სომხურ სექციებს (თითოს) დაუთმო თორმეტი დღე; 2) ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასს 6 საღამო! 3) მუსულმანებს 4; 4) მალოროსებს 6; 5) ოსებს 3; 6) ებრაელებს 2; 7) პოლონელებს 2 და 8) ბერძნებს, ასურელებს და ლიტველებს თითო საღამო.

**დიდი ტანის ვეფხის-ტყაოსანი,** 1884 წ. გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული, ძალიან ცოტა დარჩა წერა-კითხვის საზოგადოებაში. რათა ეს წიგნები ხელში არ ჩაუვარდესთ სპეკულიანტებს, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, რომ ვისაც ამ „ვეფხის ტყაოსნის“ შეძენა უნდა, განცხადებით მიმართოს საზოგადოების გამგეობას. ფასი თითო წიგნისა 25 მან.

**შეწევნა სამღვდელოებას.** ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორას მოუვიდა დადგენილებანი ქართლ-კახეთ-იმერეთ, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიების სამღვდელოებისა ამ სამღვდელოების შესაწევრათ ხაზინის მიერ გადადებულ 700 ათას მანეთის განაწილების შესახებ. კანტორა შეუდგა საქართველოს საექსარხოსოს ეპარქიებში ხსენებულ შესაწევრის გაგზავნას.

**მიწის ძვრა.** შვიდიდან რვა თებერვალს, ნაშუაღამევის 2 საათზე, თბილისში მიწა იძრა. მიწის ძვრამ 1 წუთს გასტანა.

**შეპყრობა.** პოლიციამ შეიპყრო ვასილ ბაქრაძე, ალექსანდრე ბიბილაშვილი, სერგო პეტროსიანცი და დეზერტირები: გრიგოლ სტეფანოვი, სარქის ყირმიზოვი და ალექსი გოგიტაშვილი.

**ქურდობა.** თბილისის სადგურზე მეწვლელ ბერლაცკის ჯიბიდან ამოაცალეს 754 მანეთი. ქურდი არმენაკ პოგასიანცი შეიპყრეს.

**ფრესკების გამოფენა** 19 თებერვლამდე გასტანს, ვინაიდან გამოფენის დათვალიერების მსურველთა რიცხვი ჯერ კიდევ დიდია. გამოფენის დახურვის დღეს ერთი მცოდნე კაცი რეფერატს წაიკითხავს ძველის ხელოვნებისა და კერძოდ ფრესკების მნიშვნელობის შესახებ.

**იარაღის დაჭერა.** 5 თებერვალს თბ. რკ. სადგურზე დაიჭირეს ვაგან გაბრიელიანცი და მასთან ერთად ქალი, რომელთაც ჩემოდანში აღმოაჩნდათ 4 დახსნილი თოფი და 7 კონა პატრონებისა.

**სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების** ცხინვალის ფილიარ. განყოფილების საზოგადო კრება დანიშნულია 19 თებარვალს დაბა ცხინვალში. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობა და სარევიზიო კომისია და აგრეთვე განიხილოს მიმდინარე საქმეები.

**ტრამვაის ახალი ტარიფი,** რომელიც ქალაქის საბჭოს ერთ-ერთ უკანასკნელ კრებაზე დაწესდა, გუბერნატორმა დაამტკიცა და დღეიდან (9 თებერვალი) ძალაში შედის. ამ გადაწყვეტილების ძალით მე-9 და 5 ნომრების ვაგონებზე ბილეთი ეღირება 5 კაპ., ხოლო დიდუბის ლიანდაგზე 3 კაპ.

## გორი.

20 თებერვალს გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში გაიხსნება სამეურნეო კურსები და გაგრძელდება 6 მარტამდე. კურსებზე მიიღება ყოველი მსურველი წერა-კითხვის მცოდნე. ლექციებს წაიკითხავენ: ხვნა-თესვაზე—ი. ქურდიანი და ელიზ. კარბელაშვილი; მებაღეობაზე და მებოსტნეობაზე—შ. ჯავახიშვილი და დ. ორთომაშვილი. კურსების ხარჯებს კისრულობს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი. შორიდან მოსულებს მიეცემათ დღიური საზრდო (1 მან.). მსურველები ეხლავე უნდა ჩაეწერნენ ქ. გორში აგრონომ ქურდიანთან.

— გორის სასოფ.-სამეურ. საზოგადოება ამით აცხადებს თავის წევრების საყურადღებოდ, რომ მას აქვს გასაყიდი ყოველნაირი თესლეულობა: შაბიამანი, გოგირდი, ბაღების ინვენტარი, რაფია (ასახვევი), მბადია და სხვა. ამ ერთ კვირაში მოელის 100 გუთანს აქსაის ფირმისას № 5. თითო ეღირება დაახლოვებით 60 მან. ვინც პეს შემოიტანს და დაიკვეთავს, მხოლოდ ის მიიღებს, რადგან მსურველი ბევრია და 100 გუთანი არ იკმარებს.

## თიანეთი.

ამას წინად, როგორც მოხსენებული გვქონდა, სოფ. საბუეს ახლოს მოჰკლეს ახმეტის მემამულე ალექსანდრე სისაური. ბოროტგამზრახველთ მოკლულის ტანსაცმელში ჩადებათ ქაღალდის ნახევი შემდეგის წარწერით: „მოვკალით, რადგან ფულის გამოგზავნა შეუთვალეთ და არ გამოგვიგზავნა. იცოდეთ, ყველას ასეთი ხვედრი მოგელისთ, ვისაც ფულსა გთხოვთ და არ მოგვაწვდითო“.

— სოფ. ახმეტაში გაჩნდა საქონლის ჭირი. მრავალი საქონელი იხოცება.

## ახალციხე.

სოფ. აწყურში დუქანი გაუტეხეს არიფ-ოღლის და წაიღეს 54 მანეთის საქონელი.

— დაბა ალადაში შეიპარნენ აშამახმუდ კიშის სახლში. სახლის პატრონი მოჰკლეს და წაიღეს ყოველგვარი ნივთეულობა.

სოფ. ლელოვანსა და ზაზალოში ყვავილი გაჩნდა.

## აბასთუმანი

სამკურნალო წყლების გამგემ გუბერნატორსა სთხოვა აბასთუმანში გაიხსნას საკრებულო.

## ნოვოროსიისკი.

ნოვოროსიისკის სახელოსნო სასწავლებელმა დიდი დახმარება გაუწია ომს. 1915 წლის ნოემბრიდან ვიდრე 1916 წლის გასვლამდე დაამზადა 124122 მანეთის ყუმბარები, ზარბაზნის ჩამოსასხმელი დაზგები და სხვა მრავალი სამხედრო მასალა.

# უზრუნველ ქართველის დღიურიდან

27.

არ მომკვდარვარ, ჩემო მკითხველო, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ!.. მაგრამ, კიდევაც რომ გადავყოლოდი არსებულ სულიერ-ფიზიკურად „გაჯახირებულ“-„შებანძლულ“ ყოფას, ნეტავი რომელი მუხლ-მაგარი რასპუტინი მე ვიყავ, ან, თუ გინდ, გეროსტრატ-სარგისიანისთანა რაინდი, რომ ჩემ დაკარგვაზე ქვეყანას განგაში აეტეხა!?..

მგონი გატყობინებდით, რომ მე, ჩემსაებრ უზრუნველ თანამოძმეებთან ერთად, ჰაიოსტანის ქალაქ თიფლისიდან ფეხი რომ ამომაკვეთინეს, ვიფიქრე, ისევ ჩემი მშობლიური კუთხე თუ გამიტანს-მეთქი და გამოვსწიე სამცხე-საათაბაგოსკენ... მაგრამ შენ ნახე, თუ აქედანაც ფეხი არ ამომაკვეთინონ; მე შენ გითხრა, უცხონი დაგვერიდებიან, ან თუ ჩვენიანები გამოგექომაგებიან!.. და ეს არც იმდენად უნდა გვიკვირდეს: აბა რას წარმოადგენს გეთაყვათ, ეხლა საქართველო, ან თუ, რა სახეირო ქართველობა?! ჩვენში ეხლა ვინც კი მოხერხებული, „პრაქტიკულ ჭკუის“ მქონი კაცია და ამასთანავე გასაყიდ დასაგირავებელი აღარაფერი გააჩნია,—ჰყიდის საჯაროთ თავის „მე“-ს, თავმოყვარეობას, წინაპართა საფლავებსაც კი!.. თუ არა გჯერათ,—ჰკითხეთ თუ გინდ: პარუმ სარგისას, „ნარ“-ეკალს, ლ. ყიფიანს, ქილ-ბლაზს და მრავალ სხვათ, რომელთა დასახელებაც მეკრძალვის...

ჯერ-ჯერობით, აქ ხმას არავინ მცემს და ეს იმითი აიხსნება, რომ გახურებული კამათია იმაზე, თუ მაარტაანის მხარე ვის ეკუთვნის: მართალია, „სახალხოელებმა“ იგი სომხებს უფეშქაშეს, მაგრამ ეხლა ბაქომუსულ. საქვ. საზ. რწმუნებული, ექიმი სულთანოვი გამოდგარა და დაურიდებელის რიხიანობით გაიძახის „რის ფლავი, რის ბოზბაში: არტაანში ქართველებისა როდის რა იყო, რომ გეფეშქაშებინათო“!. ნათქვამია: „უპატრონო ეკლესიას—ეშმაკები ეპატრონებოდნენო“. ჩვენში რომ ერთობა შეგნება იყოს, განა საბუთი არ გვექნებოდა რიხიანად შეგვეძახა: ჩამოდით, შეგვრცხვეთ მაინც ჯერეთაც მრავლად ცოცხლად შერჩენილ, უზარმაზარ, ისტორიულ ციხე-კოშკების, ეკლესია-აკლდამების მრავალ მოსახ... ქართველ-მუსულმანების და ასობით ჯერეც შენახულ თუმცა უცხოელების მოსახლე, მაინც ქართულ სახელ-წოდებიან სოფლების!..

ჰო და, ჩემისთანა პატარა კაცმა კი დღევაც რომ გაბედოს და ხმა ამოიღოს, — რა მნიშვნელობა - გავლენა ექმნება?! ამიტომაც მე, გარიყული, გარინდულ - მოკუნტული, ჯეროვან აზრიან ცხოვრებას მოკლებული, მცლის მონა,—ვგდივარ ჩემთვის და შევყურებ შარა-გზას, საიდანაც მომელი, გაზეთების მოტანილ, თქვენ, თბილისელების, „საქმიანობის“ ამბავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვკითხულობ, ჩუმ-ჩუმად, გესლიანად ვხითხითებ?: კარგათ ვიცი, რომ თქვენ უმრავლესობამ,—ზოგმა უნიათობა-უზრუნველობის გამო, სისულელემდის მისულ სტუმართ-მოყვარეობით და ზოგმა, თანახმად პლეხანოვის ტიპიკონისა,—ადგილი უნდა დაუთმოს უცხოეთიდან გამოქცეულებს და თვით, ჩემსავით, სადმე გადაყრუებულს პროვინციაში გადიკარგოს. მე, როგორც გამოქცეულებიდან გაქცეულმა და ცოტათი გამოცდილმა მაინც ერთი რჩევა მინდა მოგცეთ: არ გირჩევთ სოხუმისაკენ გაიწიოთ: იქაურობა, ბათომის მიდამოებითურთ, დიდ მოხელეების საკოლონიზაციოთ სპერიათ; ქანეთ-ტრაპიზონისაკენ თუ მოისურვებთ,—იქ კაცი-ჭამია მინცლოვები დაგხვდებათ; აქეთ მხარეზე ჯერ დავა არ არის გათავებული; ბორჩალოსაკენ, თუ რომ ჩვენ ბრწყინვალე წოდებას გაუყიდავ-გაუფლანგველი გადარჩა,—უკვე უცხოებისაგან დაკავებულია; ტურფა კახეთისაკენ თავისუფალი ადგილი რომ იყოს,—საუკუნეებით შენახულ ტყეს არ გაჩეხავდნენ, რომ დიდი ტალღა შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთა მოათავსონ...

— მაშ საით ჯანაბისაკენ უნდა წავიდეთო!—შემოკურთხვით შესძახებს გულ-მოსული, ვინ იცის, ნახევრად უკვე აბარგული, მკითხველი.

— ხი! ხი! ხი!—მე რა ვიცი,—საითკენაც გნებავდესთ! ჩემის აზრით კი, ბევრით ემჯობინება, დაადგეთ გზას... გაპლორეტარებისას: შეუერთდით „მოსჩნაია პარტიას“, მალე მოიპოვეთ, უმისოთაც მოახლოვებული, სოციალიზმი უკვე „გამომუშავებულ“ რეცეპტით და შეუდგეთ მანთაშევ-მოროზოვების ქონების განაწილებას. გაუვარდეს მაშინ, ჩვენებურ—ქართველური, უზრუნველ—დარდიმანდლური მოლხენა!.

გ. ახ—ციხელი.

## მოსკოვის ქართველთა შორის

14 იანვარს, ნინოობას, მოსკოვის ქართველთა საზოგადოების დარბაზში გაიმართა ბანკეტი გამოჩენილ რუს პოეტ ბალმონტის პატივსაცემად. ბალმონტს გარდა ბანკეტზე მიწვეულნი იყვნენ სხვა ცნობილი მწერალ-მგოსანნი—ბალტრუშაიტისი, ვოლოშინი, მხატვარი ქალი კრუგლიკოვისა და ბევრი სხვა გამოჩენილი რუსის მოღვაწენი. აქვე იყვნენ თავ. ალ. სუმბათაშვილი და სხვა წარჩინებულნი ქართველნი: დიმ. არაყიშვილი და სხ. ტოლუმბაშობდა ევგ. კანდელაკი, რომელიც პირველად სამშობლოს მისალმა და მერმე კი მის ახალ მესაიდუმლე კოტე ბალმონტს (ბალმონტმა სიამოვნებით მიიღო მისი კოტე დ მონათვლა). წარმოითქვა ბევრი შინაარსიანი სიტყვა, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ სიტყვანი ალ. სუმბათაშვილისა, პოლკ. თულაშვილისა, თვით ბალმონტისა და უფრო კი პოეტ ბალტრუშაიტისისა; უკანასკნელმა გულწრფელადა და თითქოს ფიცის ქვეშაც საჯაროდ გამოაცხადა: ქართველმა ერმა მიგულოს, როგორც მისი მეგობარი და ამიერიდგან ქართული კულტურის ერთი თავდადებული პოპულიარიზატორთაგანი ვიქმნებიო. მისმა სიტყვებმა დაუცხრომელი ტაშის ცემა და უსაზღვრო ალტაცება გამოიწვია ყველა იქ მყოფთაგანში. ბალმონტის სიხარულს ხომ ბოლო აღარ ჰქონდა და თვისი აღფრთოვანების გამოსახატად ემბორა კიდეც ბალტრუშაიტისს, რომელსაც სტუდენტობამაც დიდი პატივი სცა და ტაშისცემითა და ვაშას ძახილით გაჰყვნენ თვით ქუჩაშიაც კი. საერთოდ ბანკეტი შინაარსიანი იყო და გათენებამდისაც გასტანა. დამსწრეთა მეტ ნაწილს ქართველობა შეადგენდა და ბევრიც, მიუხედავად იმისა, რომ კერძო პირთათვის ერთი თუმანი იყო გადასახადი, ხოლო მოსწავლეთათვის 5 მანეთი, მაინც იძულებული შეიქმნა უადგილობის გამო უკან გაბრუნებულიყო.

* * *

მეტად საყურადღებოც და უფრო საინტერესოც ქართველ სტუდენტთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების მიერ გამართული კონცერტი-კაბარე იყო, რომლის მოსაწყობათ დიდი შრომა გასწია ცნობილმა მსახიობმა ქალმა ნინო მესხიშვილის ასულმა. უნდა ითქვას, რომ ეს პატივცემული ადამიანი დიდს ამაგსა სდებს მთელს აქაურ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას თვისი უსასყიდლო და უანგარო მუშაობით. მისის მეოხებით ისეთი პირები ილებდნენ ამ საღამოში მონაწილეობას, როგორც გამოჩენილი მსახიობი კაჩალოვი, იუჟნი, იუდინი, ბლიუმენტალ ტამარინის ქალი და სხ. ბუნებრივია ამიტომ, თუ საღამომაც შინაარსიანად ჩაიარა და საზოგადოებაც ძალიან ბევრი დაესწრო. შემოსავალიც ფრიად დიდი დარჩა—5000 მანეთს ბევრით აღემატება. ამავე საღამოს ჩვენი სცენის სიამაყეც—ლადო ალექსი-მესხიშვილიც დაესწრო. განუწყვეტელი ტაშის კვრით შეეგება და მიესალმა აქაური ქართველობა. ოვაციებმა მეტად გულითადი ხასიათი მიიღო. აქაურმა სტუდენტობამ გადასწყვიტა ბანკეტი გაემართნა ვლ. მესხიშვილისა და მის ქალიშვილ ნინოსთვისაც. გადაწყდა აგრეთვე ურთიერთ დამხმარე საზოგ. გამგეობის კრებაზე, ნინო მესხიშვილის ასულს უნდა მიერთვას ქართველ სტუდენტთა და კურსისტ ქალთა სახელით სამადლობელი ადრესი ძვირფასის ყდით იმ თავგამოდებულ შრომისათვის, რომელსაც ის მუდამ ეწევა ჩვენის გულისათვის.

* * *

უნდა აღვნიშნო, რომ მოსკოვის ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაში მეტად გაიზარდა ეროვნული თვითშეგნება. ქართული მეცნიერების გასამდიდრებლად და განსამტკიცებლადაც თვალსაჩინო შნოს იჩენს ქართველობა მოსკოვში. ეს მიზანი და მოქმედება აქ არსებულ „ქართულ სამეცნიერო საზოგადოებამ“ დაისახა, რომელსაც ჩვენნი მეცნიერნი პირნი მიუძღვიან მხნედ წინ. ამაზედ მე უკვე წინა წერილშიაც*) მოგახსენებდით და ახლა კი მინდა ამ საზოგადოების საქმიანობაზედ მოვახსენო მოკლე რამ ქართულ საზოგადოებას, იმ საქმიანობაზედ, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობაც რომ ჩართრია და სამეცნიერო მუშაობაში რომ აბამს.

თითქმის ყოველ კვირეულად იმართება ხოლმე ამ საზოგადოების სხდომები, რომლის შინაარსსაც უმთავრესად ახალგაზრდობის მიერ წაკითხული რეფერატები და მოხსენებანი შეადგენენ სხვა და სხვა თემებზედ და კითხვებზედ. მაგალითად, 21 იანვარს, ნიკო ჯორჯიკიამ წაიკითხა მეტად საინტერესო მოხსენება შემდეგს თემაზედ: ქართველების და მათთან მონათესავე ერების (იაფედიტების!) ეთნიური ისტორია“. მოხსენება, ფრიად შინაარსიანი იყო და ორი ნაწილისაგან შესდგებოდა. პირველი ნაწილი შეეხებოდა ამ ერთა ეთნიურ ისტორიას კავკასიის ფარგლების გარეშე, ხოლო მეორე ნაწილი შეეხებოდა მათს განხილვას თვით კავკასიის ტერიტორიაზედ დამკვიდრების შემდეგ. ეს საკითხი მეტად ახალია და დამაინტერესებელიც, და არც გასაკვირია, თუ ბ-ნ ნ. ჯორჯიკიას მოხსენებას, როგორც მუდმივ, ამ სხდომაზედაც ბევრი საზოგადოება დაესწრო.

შემდეგი სხდომა ამ საზოგადოებისა მოხდა 28 იანვარს. დანიშნული იყო წასაკითხად, ბ-ნ ი. ხანანაშვილის მოხსენება შემდეგს თემაზე: „ისრაელ ქართველთა ისტორიული, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მიმოხილვა“. როგორც ვიცით, ისრაელ-ქართველთა საკითხი უკვე ერთ-ერთ მორიგ საჭირბოროტო საკითხად არის აღიარებული ჩვენში როგორც პრესისა, ისე ინტელიგენციის მიერ და ამიტომ საზოგადოება ი. ხანანაშვილის მოხსენებასაც ბლომად დაესწრო.

ეს მოხსენებაც ორი ნაწილისაგან შესდგებოდა. პირველ ნაწილში მომხსენებელმა ისტორიულად განიხილა და გაგვაცნა ისრაელნი-ქართველნი და ასეთი თეზისები წამოაყენა: ქართველთ კერპთმსახურების დროს, ქართველები ილებდნენ ისრაელთა რჯულს არა თუ მარტო წარმართების ხანაში, არამედ ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგი დროიდანაც და მოიყვანა ორივე დროიდან ისტორიული საბუთები. მაგალითად, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში არსებულა თბილისში სექტა ვინმე **აბუ-იბრან-ალ-ტიფლისის** (ანუ მუსა-ალ-ზაფრანი) მეთაურობით, რომელიც ავრცელებდა ისრაელობას საქართველოში და მიმდევარნიც გაუჩენია. ამა და სხვა რამოდენიმე საბუთების მიხედვით, ბ-ნმა ხანანაშვილმა გადაჭრითა სთქვა, რომ ისრაელი-ქართველნი არა თუ ეროვნულად, სისხლით, მოდგმითაც კი წმინდა წყლის ქართველები არიანო. ესევე მოსაზრება ბ-ნმა ი. ხანანაშვილმა ანთროპოლოგიურადაც განიხილა და აქაც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართველი ქრისტიანებიც და სირაელებიც ერთი შტოდან მომდინარეობენ და ანთროპოლოგიურადაც, როგორც ისტორიულად და ეროვნულად, განუყოფელ, მთლიან ერთეულს წარმოადგენენო. მოხსენების მეორე ნაწილი ქართველთა ეთნოგრაფიას, მათს მატერიალურს და სულიერ კულტურას შეეხებოდა. მომხსენებელმა გაგვაცნო მათი რამოდენიმე ზნე-ჩვეულება, და სხვა ეთნოლოგიური მხარეები და აქაც გადაჭრით ის აზრი გამოსთქვა, რომ ისრაელნი ეთნოლოგიურადაც ქართველობის ერთ განუყოფელ სხეულს შეადგენენო, რაც ჩვენმა მეცნიერმა პატივ. ალ. ჯავახიშვილმაც აღიარა. მოხსენების გათავების შემდეგ ბ-ნს ჯავახიშვილს, როგორც სპეციალისტ-ანთროპოლოგს, განსაკუთრებული მოხსენება უნდოდა წაეკითხნა შემდეგს თემაზედ: „ისრაელ-ქართველთა ანთროპოლოგიური დახასიათება“, მაგრამ დროის უქონლობამ 4 თებერვლისთვის დანიშნულ სხდომისათვის გადასდო ეს მოხსენება. ბ-ნმა ი. ხანანაშვილმა მოხსენების დასასრულ საყვედურით მიმართა ქართველ საზოგადოებას, ალლო ვერ აუღია ისრაელ ქართველთა საკითხისათვის და თავიანთი მოძმენი ჯერაც ვერ ჩაუბიათ საერთო კულტურულ ფერხულშიო. ეს მოხსენებაც შინაარსიანი დ საინტერესო იყო. დ აალაპარაკა კიდეც ჩვენი სტუდენტობა.

წინა წერილშიაც აღვნიშნეთ და კვლავაც ვიმეორებთ, რომ ამ „მოსკ. ქართ. სამეცნიერო საზოგ.“ დიდი მომავალი აქვს. მიზნებიც დიდია, პირებიც მეცნიერული გამოცდილებით და მამულიშვილურის სიყვარულით არიან აღჭურვილნი, ხოლო მათ ყოველ მხრიდან დახმარება სჭირიათ. მაგალ. ნაგულისხმევია მრავალ სამეცნიერო წიგნების გამოცემა, აგრეთვე გაჩენა საკუთარის ორგანოსი, ხოლო საამისოდ არ მოეპოვებათ სახსარი. ერთად-ერთ წყაროს საწევრო გადასახადი (3 მ.) და კერძო შეწირულება შეადგენს, და ესენი კი დასახული მუშაობისათვის, მეტად მცირე რამ არის, თუ ისევ ქართველი საზოგადოება და დაწესებულებანი არ აღმოუჩენენ დახმარებას; თანაგრძნობის დეპეშები და წერილები საკმარისად მოსდით საქართველოდან როგორც თავმჯდ. ჯავახიშვილს, ისე პრივ.-დოც. გ. ღამბარაშვილსაც, რითაც რა თქმა უნდა, იდეიური, ზნეობრივი მხარე უზრუნველყოფილია, ხოლო მატერიალური მხარე კი მეტად სუსტია. თუ ამ მხრით ჯერ რამე გაკეთებულა, ისიც გამგეობის წევრთაგან. მაგალითად, პატ. ღამბარაშვილმა თავის ხარჯით გამოსცა რამოდენიმე წიგნი, მათს შორის „ჰისტოლოგიური ატლასი“. (ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდადაც). ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ჩვენში უკვე არსებულნი საზოგადოებანი: „ვექილთა“, „ექიმ-ბუნებისმეტყველთა“, „ეთნოგრაფიული“ და სხვებიც, მჭიდრო კავშირს დაიჭერდნენ აქაურ სამეცნიერო საზოგადოებასთან, მით უმეტეს, რომ 28 იანვრის სხდომაზედვე დაიწყო ხელის მოწერა იმ კომისიებში სამუშაოდ, რომლებშიაც უახლოვესად ითანამშრომლებენ როგორც ჩვენი აქმყოფნი გამოჩენილნი მოღვაწენი, ისეუფრო თვით ქართველი სტუდენტები და კურსისტი-ქალები.

ხომ მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდობიდანვე მშობლიურ ენაზედ შეუდგები მეცნიერულ მუშაობას და აქედანვე მოიპოებ საამისო გამოცდილებას. იმაზე მეტი უბედურება რაღა უნდა იყოს, რომ გვიჭირდეს ქართულად აზროვნება და მეცნიერულ დებულების იოლად გამოთქმა? ვინც ამას გაითვალისწინებს, ამ კომისია-სექციების მნიშვნელობაც ნათელი იქნება მისთვის.

კომისიები შემდეგია დაარსებული: ა) **პედაგოგიური**—ქართულ მეცნიერულ ტერმინების შესამუშავებლად. ბ) **საბუნებისმეტყველო და სამკურნალო**. ეს კომისია კაი ხანია არსებობს კიდეც ღამბარაშვილის წყალობით და როგორც მოგახსენეთ, გამოცემანიცა აქვს საკუთარი; დ) **სამათემათიკო**, ე) **ხაფილოლოგიო**, ვ) **სამშობლოს შესამეცნებელი**, ზ) **საფილოსოფიო**, თ) **საზოგადო მეცნიერებათა**: 1) **იურიდიული** და 2) **ეკონომიური** და თ) **საგამომცემლო**. სტუდენტობა ბლომათ ჩაეწერა ამ სექციებში იმისდა მიხედვით, თუ ვის რა სპეციალისტობა შეესაბამებოდა და საყოველთაოდ გამოითქვა სურვილი, რათა თვით სტუდენტობამ გამოიჩინოს ინიციატივა და მეტი ყურადღება საეკონომიო სექციას მიეცეს. ყოველივე ამის გარდა, ნააზრევია, რომ საკუთარი ქართული სტამბა იქნეს შეძენილი.

როგორცა ხედავთ, მუშაობა უკვე ფართო მასშტაბით არის დაწყებული და უდიდესი ეროვნული მნიშვნელობაცა აქვს ჩვენთვის; ესევე სამეცნიერო საზოგადოება დიდ დახმარებას გვიწევს სტუდენტებს, რომ ჩვენი ორგანიზაცია-კავშირები და რეფერატები მთავრობამ იძულებით არ ჩაშალო. მოკლე ხანში ნ. ბარათაშვილის საღამო იქნება გამართული და რეფერატს წაიკითხავენ.

იუზუფ-ბეი.

*) იხილე „საქართველო“ № 13 1917 წ.

## ეკონომიური ცხოვრება

**ბანკების თანხები.** ამ ომის დროს ყველა სახელმწიფოებში შემჩნეულია ბანკებში შენახულ თანხათა საოცარი ზრდა. მაგალითად, 1912 წ. რუსეთის ყველა აქციონერულ ბანკებსა და საურთიერთო ნდობის და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შენახული თანხები და მიმდინარე ანგარიშები უდრიდა 2,361 მილიონ მანეთს. 1 იანვარს 1914 წ. ბანკებში შენახული თანხა 3,218 მილიონ მან. აღწევს. ამის შემდგომ შენახული ფულის ზრდა კიდევ უფრო სწრაფის ნაბიჯით მატულობს. პირველ იანვარს 1915 წ. ის უდრის 3,573 მილიონს. 1916 წ. 1 იანვარს კი—4,342 მილიონს. 1917 წლის განმავლობაში ბანკებში შენახული მილიარდები უკვე თვეობით მატულობს. 1 აპრილს უკვე 5 მილიარდზე მეტი ინახება, 1 აგვისტოს 6 მილიარდი და 1 ნოემბერს 7 მილიარდზე მეტი. ასე რომ, გასულს წელს ბანკებს 3 მილიადრზე მეტი მიბარებული თანხა მოემატა.

რასაკვირველია, რუსეთის ბანკებში ამოდენა ფულის დაგროვება უწინარეს ყოვლისა ქაღალდის ფულის უზომოდ გამოშვებით აიხსნება. მაგრამ სხვა ქვეყნებშიაც შემჩნეულია ბანკებში დაგროვილ თანხების სწრაფი ზრდა. ამერიკის ბანკებში შენახული ოქროს თანხები დიდათ გაიზარდა.

შემჩნეულია, რომ ეს თანხები უმთავრესად მიმდინარე ანგარიშებში არის მოთავსებული. ფულს დიდი ხნობით არ ინახავენ. საზოგადოება ერთგვარ მოლოდინშია და შესაძლოა, როგორც ზოგიერთი ფინანსისტი ჰფიქრობს, დადგეს მომენტი და ბანკებიდან ისეთივე სწრაფი გატანა დაიწყოს შენახულის თანხების, როგორ სისწრაფითაც ისა გროვდებოდა.

—

**შავი ქვის** მრეწველებს დ. ხაინდრავას და გ. ბერიძეს მისცეს ნებართვა მარგანეცის წარმოების დაწყებისა ს. მღვიმევს, შორაპნის მაზრაში.

## სოფლად

III

**ქართლი.**

1. **სოფლის ადმინისტრაციის მოქმედება.** ამ ბოლო დროს გორის მაზრის სოფლებში მომიხდა სიარული და სხვათა შორის სოფლის მოხელეების მოქმედებას გავეცანი.

რაც 1906—1907 წლებში ხდებოდა მთავრობის მამასახლისებისა და დამსჯელი რაზმისაგან, ეხლანდელმა სოფლის ადმინისტრაციამ გააქარწყლა და, პირიქით, გადააჭარბა კიდეც.

ის, რაც ვნახე და გავიგონე ჩემის ყურით სოფლის ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ, არ შეიძლება, არ ვაუწყო პატივცემულ ქართველ საზოგადოებას. სიჩუმე დანაშაულობათ ჩაეთვლება ყველას.

სოფლის მცხოვრებნი თავზარ დაცემულია ადმინისტრაციის მოქმედებით,

## მოხსენება ხევსურეთზე*)

მიმდინარე 1916 წლის გაზაფხულზე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას თხოვნით მიჰმართა თიანეთის მაზრის შატილის და არდოტის სოფლის საზოგადოებამ ეშუამდგომლათ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა ხსენებულ სოფლებისთვის რაიმე დახმარება აღმოეჩინა. ზაფხულში ამგვარივე განცხადებით მიჰმართეს ხსენებულ საზოგადოებას ხევსურეთის სხვა სოფლებმაც. წარმომადგენელნი ასწერდნენ შემძრწუნებელ სურათს ხევსურების უმწეო და უპატრონო მდგომარეობისას. მოუსავლობისა და გროზნისა და კავკავის გზების შეკვრის გამო ხევსურეთის დამშეული ხალხი დღე-მუდამ შიშსა და ძრწოლაში იყო ქისტების თავგასულობით და ძარცვა-გლეჯის წყალობით, რომელთაც, ხევსურეთის ახალგაზრდობის ჯარში გაწვევის შემდეგ, მუდმივი ხასიათი მიიღეს.

ხევსურების თხოვნა, უმთავრესად, შემდეგი იყო: 1) აღეძრათ შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ მთავრობას ან დაეცვა ხევსურები ქისტების ყაჩაღობისაგან, რისთვისაც საჭირო იყო პატარ-პატარა რაზმებით გაემაგრებინა მთებში გადასავალი გზები, ან და მიენდო ეს საქმე თვით ხევსურთათვის; ამისთვის უსაჭიროესი იყო შეიარაღება პირველ და მეორე ხარისხის მოლაშქრეთა, როგორც ერთად ერთი ძალისა, რომელსაც შეეძლო ქისტებისთვის აქტიური წინააღმდეგობა გაეწია; 2) მატერიალური დახმარება მიეცათ იმ ოჯახებისათვის, რომელთა მარჩენელნიც ჯარში იქმნენ გაწვეულნი.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ზაფხულის თვეებში გაგზავნა ხევსურეთში თავისი რწმუნებული და დაავალა შეემოწმებინა ხევსურთა თხოვნაში აღნიშნული ფაქტები და აგრეთვე პირადად ადგილობრივ გასცნობოდა საქმის ჭეშმარიტს ვითარებას.

ცნობილია, რომ ხევსურეთი ეკონომიურად და კულტურულად მთელ მხარეში ერთი ჩამორჩენილ კუთხეთაგანია. სიღარიბისა და სიმძიმის გამო ხევსურების ცხოვრება აუტანელია. მიზეზი ამისა, უმთავრესად, მათი ქვეყნის სასტიკი ბუნებაა. მაგრამ მათს ასეთს დაქვეითებას არა ნაკლებ უწყობს ხელს მათი კულტურული ჩამორჩენა. ხევსური არ იცნობს საზამთროდ ბინების შეცვლას ისე, როგორც მათი მეზობლები ფშავი და თუში სჩადიან მას, იშვიათად მიატოვებს ხოლმე თავის კლდოვან საცხოვრებელს და სრული უვიცია ბარის მცხოვრებთა სამეურნეო ყოფისა და წარმოებისა. შიგა და შიგ კერძოთ რომელიმე ხევსური თუ ჩამოვა ბარად თბილისში ერბოს გასასყიდათ, ან სიმინდის და მარილის სასყიდლათ კავკავში ან გროზნაში, ან არა და რამდენიმე ერთად დაეშვებიან კავკასიონის სამხრეთ ფერდოებზე სვიისა და ენდროს მოსაკრეფათ, წუმწუმა, საპონის და სხვ. ამგვარი ნივთები, რომელნიც დიდი ხანია პირველ მოთხოვნილების საგნად გამხდარან გუბერნიის სხვა მცხოვრებთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბევრ სოფლებისათვის დღესაც უცნობი ხილია.

საქონლის მოშენების განვითარებას და გამრავლებას—ამ უმთავრეს და ცხოვრებ ს ერთად-ერთ წყაროს ხევსურთათვის, ხელს უშლის ის გარემოება, რომ კავკასიონის ქედზე გრძელ ზამთრის გამო შეუძლებელია საქონლის დიდი ჯოგების გამოკვება. მართალია, ზაფხულობით კავკასიონის საძოვრებზე მშვენიერი საკვები ბალახია, მაგრამ სათიბი ადგილები მეტად მცირეა და ზამთრისათვის საკმაო საკვებს ვერ იძლევიან. ხშირად, ენკენისთვის დამლევს კავკასიონის მაღალს მთებზე ისეთს დიდს თოვლს დასდებს, რომ ყოველივე მიმოსვლა შეუძლებელი ხდება და გზები მხოლოდ მაისის ბოლოს გაიხსნება ხოლმე. მაღალ ადგილზე მდებარე სოფლები შვიდის თვის განმავლობაში სრულიად მოწყვეტილნი არიან ქვეყანას და მთელ ამ ხნის განმავლობაში ადმინისტრატიულ გავლენის გარეშედაც კი იმყოფებიან.

მოსავალი ხევსურეთში მეტად მწირია. მიუდგომელი კლდიანი ადგილები ნებას არ აძლევს მცხოვრებთ საკმაოდ დასთესონ ქერი, ეს ერთად-ერთი საკვები მცენარე მთელ ხევსურეთისათვის. ნათესის ნამეტი სამს-ხუთს არ აღემატება. ქერი ვერ ასწრობს დაპურებას 6000 ფუტის მაღლა და $^3/_4$ ხევსურეთის სოფლებისა კი ამ სიმაღლეზე უფრო მაღლაა გაშენებული. ახალ წლისთვის ხევსურების მომეტებულ სოფლებში სიმშილობა იწყობა ხოლმე. ამ დროისათვის აღარ არიან ის კვერებიც უპურისცომო ცომისაგან, მსხვილად დაღერღილ და გაუცრელ ქერის ფქვილისაგან რომ ნახევრად იშუშებიან ნაცარში და ხევსურეთისათვის კი ყოველ დღიურ „პურს არსობისას“ შეადგენენ.

ამგვარად მწირე „ღვთის წყალობის“ მოყვანასაც კი დიდი შრომა და განსაკუთრებული ჯაფა სჭირია. ადგილობრივ ბუნების ხასიათი და მდებარეობა ნებას არ აძლევს ხევსურს სასოფლო-სამეურნეო საქმეში საქონლის ძალა შეიშველიოს. $^3/_4$ მთელი სახნავისას ხევსური ჩიჩქნის, თხრის და ჰფარცხავს თოხით. ძნას, თივას და შეშას იგი ეზიდება საკუთარ ზურგით.

ხევსურეთისათვის გზები არ არსებობს. არის იქ მხოლოდ ბილიკები და ისიც მეტად ძნელი და სახიფათო. მათ სამეურნეო ფართო სარგებლობაზედ—ფიქრიც მეტია. „მოქანავე“ ხიდები იმდენად „მკვიდრნი“ გახლავან, რომ ყოველ ავდრისა და წყლის ადიდების შემდეგ მათი სახსენებელი ქრება. სხვა რაიმე მაჩვენებელი კულტურულ ადამიანურ ცხოვრებისა ან ელემენტარულ სახელმწიფოებრივ მზრუნველობისა (მაგალ. სკოლა, საავადმყოფო და სხ.) აქ არ მოიპოვება. კულტურული და ეკონომიური ცხოვრება ხევსურებისა იმდენად ჩამორჩენილია, რომ ძნელიც კია ადამიანმა სხვა რაიმე მგზავსი მაგალითი კიდევ სადმე გამოსძებნოს.

ამგვარ კულტურულ და ეკონომიურ მდგომარეობის გამო მცხოვრებთა რიცხვი ისეთ მდგომარეობაშია, რომ აშკარად აყენებს საკითხს ხევსურების გადაშენების შესახებ. სამოცდა ათიან წლებში ხევსურთა რაოდენობა 6,000 იყო განსაზღვრული. ეს რიცხვი ამ ხალხის სტატისტიკურ ნორმად ითვლება დღესაც. ხევსურების ოჯახი, საზოგადოდ, მეტად მცირერიცხოვანია. ბარისახოსა და შატილში, ხევსურეთის უმთავრეს სოფლებში, მხოლოდ ხუთ ოჯახს ჰყავს ორზე მეტი შვილი. აღსანიშნავია, რომ ეს ოჯახები სხვებზე უფრო კარგს ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან და მეზობლებიც კი მათ შეძლებულ ოჯახებად სთვლიან. ეს ფაქტი უეჭველი შედეგია ამ ხალხის ეკონომიურ დაქვეითებისა: მოსჩანს შიში, რომ მათი მიწა-წყალი მრავალ რიცხოვანს ხალხს ვეღარ გამოჰკვებს—პირმშო შვილი უკულტურობისა.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი უბედურება ამ ხალხისათვის მეზობელ ქისტების ყაჩაღური თავდაცემაა. ეს უკანასკნელნი ხევსურების მეზობლად კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მოსახლეობენ და, როგორც შუშვენის ნახევრად ველურ ხალხს, თავის მუდმივ ხელობად ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა აქვთ არჩეული.

ქისტები არა მისდევენ არც ხვნა თესვას, არც საქონლის მოშენებას: მათ უფრო ხელსაყრელად მიაჩნიათ სხვისის ნაოფლარით ცხოვრება. მეტ წილად ისინი თავს ესხმიან თუშეთს, ფშავს და ხევსურეთს. სისხლის აღებას და საუკუნოებით განმტკიცებულ მტრობას თან სდევს ამ ყაჩაღობის იშვიათი უდიერობა. ძნელად თუ მათი რომელიმე თავდასხმა, ე. წ. „საქონლის მოტაცება“ სისხლის დაუღვრელად თავდებოდეს. კავკასიონის „დამშვიდებას“ („замиренiе“) ჯერ კიდევ ვერ „დაუმშვიდებია“ ეს მთის ვიკინგები. მთავრობას მათს მოსარჯულებლად არა ერთხელ მიუღია მკაცრი ზომები: ქისტებს სჯიდნენ,—თითქმის მთელს სოფლებსაც კი გადაასახლებდნენ ხოლმე, მაგრამ შედეგი ამ ზომებისა ყველამ კარგად უწყის. მთელი ეს მხარე გადაქცეულია ველურ სისხლის მღვრელ შეტაკებათა ასპარეზად, რომელნიც 1859 წ. ბარიატინსკის მიერ შამილის დატყვევების შემდეგ თითქოს უნდა მიყუჩებულიყო. საშუალო საუკუნეებში აშენებული კოშკები ეხლაც სამზვერავ და თავდაცვის სიმაგრეების როლს ასრულებენ. შატილისა და არდოთის სოფლის საზოგადოებას ეხლაც კი აქვთ გამაგრებული 14 ადგილას გროზნის ოლქში „მიმავალი“ გზები. ყოველ ამგვარ ადგილს 4 ან 5 კაცი ჯერჯერით გამუდმებით ჰყარაულობს. ეს თავისებური „სამხედრო ბეგარა“ მძიმე ტვირთად აწევს საწყალ ხალხს, ხელს უშლის მის ნაყოფიერ მუშაობას, ილაჯს უწყვეტს ისედაც დაქვეითებულ ეკონომიურ ცხოვრებას და ასუსტებს მშვიდობიან შრომის სურვილს. და ეხლაც, როგორც წინედ, ამგვარ შეტაკებაში გამარჯვებული მხარე მოსჭრის ხოლმე ხელს დამარცხებულს მოწინააღმდეგეს და მიაქვს თავის სოფელში როგორც ძვირფასი ნადავლი თავის სახლის კარებთან ჩამოსაკიდად. სისხლის აღება, მუდმივი მტრობა თემთა შორის, წინაპართა პატრიარქალური რწმენა, რომელიც ჰქადაგებს ღმერთებისადმი მდიდარ მსხვერპლის შეწირვას, ცრუმორწმუნოება, სიხეპრე მთელი თავისი შედეგებით, როგორც მაგ. მკითხაობა და შელოცვა, აი სურათი ხევსურთა ბედშავ ცხოვრებისა.

საერთაშორისო ომმა გავლენა ხევსურეთზედაც იქონია, მთლად შეანძრია მათი ცხოვრება.

ომს ხევსურები გულწრფელის პატრიოტიზმით და იშვიათის მამულიშვილობით შეხვდნენ. მათში გაიღვიძა წინაპართა მებრძოლმა სულმა, გაჩნდა ჰსიხოზი საშუალო საუკუნეთა მამაცებისა, რომელნიც მიეშურებოდნენ „ომში—ომისათვის—ჯვრისა და სამშობლოს დასაცველად“. ამ აღფრთოვანებულმა გრძნობამ უპირველესი ადგილი დაიჭირა ხევსურთა სულიერ ცხოვრებაში: ხევსური ომზედა ჰფიქრობდა, იგი იგონებდა თავის წინაპართა რაინდობას, სთხზავდა სამამაცო სიმღერებს, ვარჯიშობდა კენწლაობა-ფარიკაობაში და მხედრობაში, ჰლესავდა თავის ხმალს, რომელთა ბასრ მახვილზედ იქნებ სისხლით არის აღბეჭდილი ჯვაროსანთა ომების მრავალ სახელოვან ბრძოლების ისტორია.

შ. ქარუმიძე.

(შემდეგი იქნება)

*) ეს მოხსენება წარედგინა მეფის ნაცვალს.

დამფრთხალია თავიანთ სტრაჟნიკების ხილვით. მოხუცი და პატარა, ქალი და დედაბერი დიდათ შევიწროებულნი არიან ბოქაულებისაგან, მამასახლისებისაგან და სტრაჟნიკებისაგან.

განსაცდელშია უპატრონო სოფლის მცხოვრებნი, დამონებულია ქართლის სოფელი, ლაჩარი გამხდარა გლეხკაცობა, ხმის ამოღების უნარი აღარ შესწევს, თავის თავისა და ოჯახის დაცვა აღარ შეუძლიან.

და ამ დამონებულ, დალაჩრებულ სოფელს ხმის ამომღები და პატრონი არავინა ჰყავს.

სოფლის მოხელეები თავად-აზნაურთ არ ეპუებიან, ამათაც სახლში უვარდებიან, იჭერენ, სცემენ!

დამშეული სოფელი შველას თხოულობს, მის მაგიერ კი, რაც აბადია, ართმევენ, სოფელი სამართალს თხოულობს და მას კონდახებს, მათრახებს სთავაზობენ.

და იცით, ვინა?! გორის მაზრის ადმინისტრაცია!

სოფელს ჰყავს პატრონი—მომრიგებელ შუამავალნი, მაგრამ ესენი სდუმან.

სოფელს ჰყავს პატრონი—მაზრის უგროსი! მაგრამ არ ვიცი, იცის თუ არა თავისი ხელქვეითების მოქმედება?

და ეს ჩემი ზემორე სიტყვები, რომ ცარიელ სიტყვებათ არ დარჩეს, მაქვს პატივი ვაუწყო მაზრის უფროსს და მომრიგებელ შუამავლებს შემდეგი ფაქტები:

1. სოფ. საქაშეთს გომის სტრაჟნიკები შემოერტყნენ, დაიწყეს ჩხრეკა, ლუკა კავთელაშვილის სახლში შევიდნენ, აუქოთეს იქაურობა, ფული მოსთხოვეს; რომ ვერაფერი წაიღეს, დაემუქრნენ, არაფერი სთქვაო. შემდეგ ხელმეორედ ლუკა კავთელაშვილს დაეცნენ, ფული რომ ვერ უნახეს, ლორი ჩამოიღეს ჭერიდან და წაიღეს. მესამედ კიდევ დაეცნენ, მაგრამ ლუკა კავთელაშვილი კარებში ცულით ჩადგა და ვეღარ შებედეს.

2. სოფ. ქვენატკოცას შემოერტყნენ, მთელ სოფელში ჩხრეკა გამართეს, ქალს, კაცს, როგორც ნახირს—ერთად მოუყარეს თავი და ერთი აურზაური მოახდინეს.

3. იგივე გაიმეორეს სოფ. მოხისში, რასაკვირველია, ყველგან დამთვრალნი და გალეშილნი სოფლებს სტოვებდნენ.

4. გომის ბოქაულმა რუდენკომ სამი კაცი თიღველები დაატუსაღა, ლუკა ოსიტაშვილი და ორი ძმა ვახტანგაშვილები გიორგი და ვასო, ვიდრე პირველს 110 მანეთი და მეორეებს 140 მანეთი არ გადაახდევინა, არ გაანთავისუფლა.

5. თერეგვნელები კაპანაძეები დაატუსაღა და ვიდრე 100 მანეთი არ გადიხადეს, არ გაუშვა.

6. ქურიხეველმა გაბო ფუხაშვილმაც შვილების გულისათვის გადიხადა 200 მანეთი მოხელეების სასარგებლოდ.

7. დირბელს ვანო კალმახელიძეს გადაახდევინეს 50 მან.

8. ილო მირიანაშვილს სარაყამიშს ერთი ვაგონი მუშა მიჰყავდა, გომის ბოქაულმა რუდენკომ გაუჩერა, ვიდრე 100 მანეთი არ გადაახდევინა, ვაგონი გაჩერებული იყო.

9. გომში არტემ მამულოვი ერთი მოხუცებული დავრდომილი მოჯამაგირეა დუქანში, სტრაჟნიკები დაჭერას უპირებდნენ, სალდათობას ემალებაო, ფული უნდა დაეტყუათ, მაგრამ რა ებადა, რას მისცემდა, გაუშვეს.

10. ცერონისში დათა ლიჩელს სცემეს და ფული წაართვეს.

11. გრიგოლ ყაფლანის ძე ფალავანდიშვილს სცემეს და გომამდის ფეხით წაათრიეს.

12. გიგუცა მაჭარაშვილს ვიდრე ფული არ გადაახდევინეს, არ მოეშვნენ.

13. კოლა ტაბატაძე მიდიოდა ურმით ავლევში, დახვდნენ ცერონისში, სცემეს და 5 მანეთი წაართვეს.

14. ცერონელს ბასილა წოწოლაშვილს ბოქაულმა რუდენკომ გადაახდევინა 30 მან.

15. თამარაშნელს ქოქოშვილს წაართვეს 5 მან.

16. ქვათეთრში ვასილა ყაჩმაზაშვილს წაართვეს 30 მან.

17. ბაყაანთ უბანში ვლადიმერ ჯუკაშვილს გადაახდევინეს 8 მან.

18. ძველეთში დაატუსაღეს იასონ ტატიშვილი, ვიდრე მღვ. ნიკო გუთნიდედაშვილი თავდებათ არ დაუდგა და არ ჩაბარა 50 მან. არ გაანთავისუფლეს.

19. კნოლეში ფალავანდიშვილებს ფაცოს და საშას მიუხტნენ სტრაჟნიკები, ესენი იარაღით ხელში დაუხვდნენ, ვეღარ შებედეს, მაგრამ ბოლოს მაინც 65 მ. გადაახდევინეს.

20. ცერონისში ილიკო და სოლიკო ფალავანდიშვილებს მიუხტნენ სახლში, იარაღით ხელში დაუხვდნენ და ვეღარ შებედეს.

გზებში არც ერთ მგზავრს არ უშვებენ, რომ არაფერი არ დასცინცლონ და ან არა სცემონ.

21. დახვდნენ საშიკო და ანტონ ფალავანდიშვილების ბიჭებს, რომლებსაც ცხენები გომიდან შინისკენ მიჰყავდათ, კარგათ მისტყეპეს, ცხენები წაართვეს, მაგრამ ცხენებმა ჩხუბი უყვეს სტრაჟნიკების ცხენებს და გაექცათ.

სოფლებში მცხოვრებნი მიმალულნი არიან, სამუშაოთ ვეღარ გამოდიან, დედაკაცების გამომეტყველებაში შიშის ზარს ამოიკითხავთ.

22. იგივე ხდება სხვა რაიონში: წრომში, ხწისში, თაგუთში, შვლისყურში, ქაშუეთში მე ვიყავ მოწმე, რომ სტრაჟნიკმა რამდენიმე პირს წაართვა ზოგს სამი მანეთი, ზოგს ხუთი მანეთი,—ფულს მაჩვენებს:

— აი, ამის მეტს არ ვახდევინებ, ბოქაული კი ულმერთოდ ექცევა ხალხსა, ოც თუმნობით ახდევინებსო,—ამ მანეთიანი ხელში ეჭირა და თან მელაპარაკებოდა.

23. სოფ. მეჯვრისხევში სტუდენტ სეითიშვილს სცემეს სტრაჟნიკებმა და მამასახლისმა, ცხენები ზედ შეაყენეს, თავპირი დაუსისხლიანეს, რომ თ-დ ზაქ. გიორ. ჯავახიშვილი არ შესწრებოდა, სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. იცით რისთვისა სცემეს? სტუდენტმა მათი საქციელი ამხილა.

ბოქაული რუდენკო პასუხისგებაში მისცეს, მაზრის უფროსის თანაშემწე თ. ანდრონიკაშვილი საქმეს იძიებს. ბოქაულმა რომ შეიტყო, მის წინააღმდეგ მოწმები ვინ უნდა ყოფილიყვნენ, მაშინვე გოკიელოვს დახლიდარი ლაიბარა თავისთან, რევოლვერით ხელში ხელწერილი ჩამოართვა, ჩემს წინააღმდეგ არაფერი აჩვენოთო და აგრეც მოხდა, დახლიდარმა ჯერ-ჯერობით არაფერი უჩვენა.

ამას გარდა გომის რკინის გზის მეისრე სოსო წოწოლაშვილს სახე დაუსისხლიანა, რომ მის წინააღმდეგ არაფერი უჩვენოს.

ბოქაული რუდენკო უნდა იყოს გადაყენებული და მოცილებული იმ მხარეს, სადაც მოწმებს ჩვენება ჩამოერთმევა, წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი სიმართლის აღდგენა არ შეიძლება.

სოფელი განსაცდელშია, სოფელს შველა ეჭირვება!

მხოლოდ უძლურნი-ღა დარჩნენ სოფლად. ვისაც მარჯვენა ერჩის და ღონე შესწევს, ისინი ომის ასპარეზზედ წასულან და სოფელი უპატრონოდაა დატოვებული.

Legatus.

# წერილი ლეჩხუმიდან

(დასასრული)

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ, რომელ მაზრაშიაც არ არის განვითარებული, გამაგრებული და ერთ ცენტრად შეკავშირებულ-შეჯგუფებული მაზრის ყველა ცხოველმყოფელი ძალები და რა მაზრასაც არ მოეპოვება კულტურული, გაჯანღონებული დაბა-ქალაქი, და ასეთის შემქნელი ძალები და ელემენტები მის სხვა და სხვა სოფლებში არიან გაბნეულნი,— ასეთი მაზრა ყოველთვის სუსტი და უძლური იქნება და იქ ვერასოდეს ვერავითარის დარგის კულტურა თუ ვაჭრობა-მრეწველობა ფეხს ვერ მოიკიდებს. მაგალითისათვის საკმარისი იქნება ავიღოთ თვით ლეჩხუმის მაზრა. იგი ყოველმხრივ, სულთმობძრავსა გავს. იმისი თქმა, რომ ლეჩხუმში ასეთი ცენტრის შექმნა და ცხოველმყოფელი ძალთა კონცენტრაცია შეუძლებელიაო, —ისეთივე აბსურდი იქნება, როგორც იმაზე ფიქრი, რომ ლეჩხუმის მესვეურნი გულწრფელად და ენერგიულად იმოქმედებენ ლეჩხუმის ნამდვილ საჭიროებებზე. და მართლაც, რომ ლეჩხუმის ყოვლის შემძლე პირებს, კერძო და პირადულ ნიადაგზე არ გადაეტანათ, პარტიობა არ შეექმნათ, შენ-ჩემობა არ გაემეფებინათ, სავაჭრო-სამრეწველო და კულტურული ცენტრის შექმნის საკითხში, დღეს ლეჩხუმსაც როგორც სხვა მაზრებს, ექნებოდა თავისი რიგიანად მოწყობილი დაბა-ქალაქი, სადაც მიწის მუშა და მეურნე თავის ნაწარმოების ბაზარს მოიპოვებდა თავისავე მაზრაში, განვითარდებოდა ვაჭრობა-მრეწველობა და თავს მოიყრიდა ლეჩხუმის დღეს დახურდავებული კულტურული ძალები, დაწესებულებები, ჩინოვნიკები, ინტელიგენცია და მკვიდრთა ძალები და ასე, ერთი მეორის მხარში ამოდგომით გაჩნდებოდა ლეჩხუმში ღონიერი კულტურული ცენტრი და აქედან მაზრის ყველა კუთხეს სათანადო ანგარიშს გაუწევდენ. ასეთი დაბისა და ცენტრის შექმნის საკითხი არა ერთხელ წამოუყენებია ლეჩხუმის ცხოვრების აუცილებლობას... მაგრამ საკითხი ეს, ყოველთვის ძირშივე მოსჭრეს ლეჩხუმის ყოვლის შემძლეებმა. რა თქმა უნდა, რომ აუცილებლობის საშოდან გამომდინარე საკითხებს, ხელოვნური წინააღმდეგობანი ვერ დასთრგუნავენ, ვერ ჩაჰკლავენ და წინააღმდეგობა მხოლოდ დროებითია ამგვარ შემთხვევებში ყოველთვის. ეს იქიდანაც ნათლად სჩანს, რომ ღონიერი და კულტურული დაბა-ცენტრის შექმნის საკითხმა ლეჩხუმში, დღეს უფრო მწვავედ წამოჰყო თავი და როგორც ყოველთვის, დღესაც არ ზოგავენ არავითარ ნაცადს „საშუალებებს“ ცაგერის მომხრენი და ბატონ პატრონნი, მაგრამ დღეს უფრო რყევასა და უილაჯობას განიცდიან, ვიდრე ოდესმე. გვესმის და სრულიად ბუნებრივიცაა მათი დასუსტება და ამიტომ გულწრფელად ვურჩევთ, ჭეშმარიტების წინაშე ქედი მოიხარონ და აუცილებლობას ტყუილა ნუ უკარგავენ დროს, რომელიც ასე ძვირფასია ლეჩხუმისათვის.

უხსოვარის დროიდან, ლეჩხუმის მაზრის ორი პატარა დაბა, ლაილაში და ცაგერი, ერთი მეორეს ეჯიბრებიან, პირველობას ეცილებიან ერთმანეთს და ხან და ხან მათი ბრძოლა კულტურულ საზღვრებსაც სცილდება. ჯიბრის საგანი უმთავრესად არის საადმინისტრაციო და სამაზრო დაწესებულებების ერთი დაბიდან მეორეში გადატანა. ამ 30—35 წლის წინათ მთელი სამაზრო დაწესებულებანი დ. ლაილაში ბინადრობდა და სამაზრო დაბათაც იგი ითვლებოდა... მაგრამ ცაგერის პარტიამ „მოახერხა“ და ყველა ეს დაწესებულებანი ცაგერს გადაიტანა. სამაგიეროთ, ლაილაშლებმაც „მოახერხეს“ და ამ რამოდენიმე წლის წინეთ ცაგერს ლეჩხუმის მომრიგებელი მოსამართლის მთელი განყოფილება მოსტაცეს და ლაილაშს გადმოიტანეს. ამ გარამოებამ ორ დაბას შორის ბრძოლა უფრო გაამწვავა, სარგებლობა ვერც ერთმა ვერა ნახა და მთელი ლეჩხუმის ნამდვილი საჭიროება შუაში გამოიჭყლიტა. არა ერთმა ათეულ წლების გამოცდილებამ ცხად-ჰყო, რომ ცაგერი და ლაილაში, სხვა და სხვა გაუსწორებელ ბუნებრივ და გეოგრაფიულ ღრმა მიზეზებისა გამო ვერასოდეს ვერ შეჰქმნიან ღონიერსა და მაზრისათვის საჭირო დაბა-ქალაქს და საუკუნოებიც გაივლიან, რომ ორივენი დღევანდელს უსქესო მდგომარეობაში იქნებიან. ცაგერს პირადი მდებარეობა ფრიად კარგი აქვს. მაგრამ იგი ლეჩხუმის საუკეთესო ნაწილისათვის სრულიად მიუწვდომელია, განაკიდეზე მდებარეობს და უმთავრესად ცაგერში შესასვლელი გზები ისეთს მიუდგომელ ჯოჯოხეთს წარმოადგენს, რომ ამ გზების (ორბელიდან ცაგერამდე) გაკეთებისა და რემონტებისთვის არა ათეული ათასები იხარჯება, მაგრამ გზების გამაგრებას მაინც არა ეშველა რა. წელს მაინც ორბელიდან ცაგერამდე (ათი ვერსია) ისე ჩამოიქცა გზები, რომ მისი შეკეთება დიდ ფულად დაჯდება და გზის დიდხანს ჩამონგრევისაგან შეჩერება მაინც ყოვლად შეუძლებელი იქნება, ვინაიდან ცაგერსა და ორბელს შუა სულ რბილი, ტალახიანი და მეწყრიანი ნიადაგია და საკმაოა ერთი დღის წვიმა, რომ ამ გზაზე საფლობი და უფსკრულები გაჩნდეს. ასეთმა გარემოებამ შექმნა ცაგერისათვის ისეთი პირობები, რომ მან შორს ვერ გაიწია, ვერაფერმა საჭირო დარგმა იქ ფეხი ვერ მოიდგა, მისი განვითარების ლამპარი მხოლოდ და ბჟუტავს და დღემდისაც სდგას გაუნძრევლად, ვითარცა კრილოვის კიბოს, შურთხისა და ქარი-ყლაპია თევზის ურემი. და როდესაც ლაპარაკი შეიქნება ცაგერის ასეთ დიდ ნაკლულევანებებზე, მისნი პატრონნი და მომხრენი, წყალწაღებულივით ხავსს ებღაუჭებიან და ამბობენ: სვანეთზე ცაგერი უმახლობელესი პუნქტია და ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება, სამაზრო დაწესებულებანი ცაგერში დარჩესო. სვანეთი თუ გვებრალება, მას ბევრი საკუთარი საჭიროება აქვს და უმჯობესი იქნება, რომ ნინანგის ცრემლების ღვრის წილ, მას სხვ ფრივ მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება, თორემ სვანი თუ ლეჩხუმში ჩამოვიდა, მისთვის ბევრად უმჯობესია 10—15 ვერსი გზის გარება და რიგიანად მოწყობილ დაბა-ქალაქში შესვლა, ვიდრე ერთი ფუთი მირილისა და ერთი სან ჯახე რკინის გულისათვის ქუთაისს ჩასვლა, რაიც მის ცხოვრებაში ხშირად ხდება. დაბა, რომელსაც თან არ ახლავს, უმთავრესად საშუალო ღირსების გზა-ტკეცილი მაინც, სადაც ეტლით მოგზაურობა და ურემთა მიმოსვლა უზრუნველყოფილი არ არის დაბასა და საგუბერნიო ცენტრს შორის,—ასეთი დაბა ვერასოდეს ვერ განვითარდება, ვერ გაფართოვდება და მაზრის საჭიროებას ვერ დაფარავს. სწორედ ასეთ უკიდურეს მდგომარეობაშია დღეს ცაგერი.

ლაილაშს, სიმართლე უნდა ითქვას, გზების მხრით უკეთესი პირობები ახლავს. იგი ქუთაისიდან მომავალი გზა-ტკეცილიდან ოთხი ვერსის მანძილით არის დაშორებული და თუმცა ამ გზის გაკეთებისთვის თავს არავინ იწუხებს, მარა ზაფხულობით „ლინეიკები“ და „კაჭკები“ მაინც დაიარება. ლაილაში ჰაერის სიფაქიზით და მდებარეობითაც ნაქებია. მაგრამ ერთი, რომ ლაილაში, როგორც ცაგერი, საშუალო ალაგი არ არის ლეჩხუმისა. და მეორე და უმთავრესი ნაკლი ის არის ლაილაშისა, რომ მისი მდებარეობა ფრიად ვიწრო არის, მდინარე წყალი ახლოს არსად ჩამოუდის და განვითარებულ-გაფართოვებული დაბა-ქალაქი მის ვიწრო ზურგზე ვერასოდეს ვერ მოთავსდება. ლაილაში თუმცა ლეჩხუმის ერთი უძველესი დაბათაგანია, ერთ დროს მთელი ლეჩხუმის სამაზრო დაწესებულებანი ლაილაშს იყვნენ მოთავსებული, მაგრამ გამოცდილებამ ცხად ჰყო, რომ თანამედროვე დაბა-ქალაქისათვის იგი ვერ გამოდგება, მის გარშემო შექმნილი ბუნებრივი ვიწრო პირობებისა გამო და ამიტომ ვერც ლეჩხუმის თანამედროვე ცენტრია იქ მოსალოდნელი. დიახ! ცაგერსა და ლაილაშს ვერც ქმთამსვლელობამ, ვერც სახელმწიფო დაწესებულებებმა, ვერც სულის ჩამდგმელმა პარტიებმა და ვერცა ვერავითარმა ცდამ ვერ უშველა და ისინი ისევ პირველყოფილობას განიცდიან,—უკეთუ სახეში არ მივიღებთ რამოდენიმე ახალ დუქნისა და სახლების აშენებას, სადაც თაგვები-ღა ბინადრობენ... და ამგვარათ თვით ლეჩხუმის ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ვერც ერთი მათგანი ლეჩხუმს დაბა-ქალაქის სახით ვერ ემსახურებიან... და ამ ორზე შეჩერება წყლის ნაყვა-ღა იქნება.

ლეჩხუმისათვის ზემოთ ხსენებული პირობების შექმნა, ჩვენის ღრმა და მიუდგომელ რწმენით, მხოლოდ და მარტო **ორბელს** შეუძლია. **ორბელ-ახალჭალა** ფრიად მდიდარია მდებარეობით, წყლით, ხე-ტყით, გარშემო მდიდარი სოფლებით, გზატკეცილით და ყოველი გარემოებით, რომელიც მართლაც შექმნის ლეჩხუმის სანატრელს, ჯან-ღონით სავსე დაბა-ცენტრს. ამ პირობებს ისიც უნდა დაემატოს, რომ ორბელ-ახალჭალა ლეჩხუმის ნამდვილი საშუალო ალაგიც არის... და ყველა ამას ნათლად ხედავენ ლეჩხუმის მესვეურნი, შინაურნი და გარეშენი და ცალკ-ცალკე და ზურგს უკან ყველა ორბელს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ხმა-მაღლა ლაპარაკს და აქტიურ მოქმედებას ორბელ-ახალჭალის სასარგებლოდ ყველა ერიდება და, სამარცხვინოდ მათდა, პირადს განწყობილებას მაღლა აყენებენ, ვიდრე საზოგადოსა და სამაზრო საქმეს. მაზრის ადმინისტრაციაც გრძნობს უხერხულობას დღევანდელ თავის ნავთსაყუდელისას, მაგრამ იტყვის ხოლმე: დღეს ვარ აქ, ხვალ არ ვიქნები და რა მენაღვლებაო“... ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენი ხმა, ვისდამიც ის პირდაპირ მიმართულია, დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“... მაგრამ ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო და ჩვენც გვინდა ეთხელ კიდევ მოვაგონოთ ლეჩხუმის დღევანდელი ცხოვრების უფლებიან მესვეურთ, რომ დროა პირადი ანგარიშების გზიდან გადადგნენ და შედგნენ ლეჩხუმის ჭეშმარიტ საჭიროების გზაზე და მაზრის საშედეგო საქმეებს ფრთხილად მოეპყრან, თორემ ადრე თუ გვიან, ბუნებრივი აუცილებლობა, გაანგრევს ხელოვნურად შექმნილს საწინააღმდეგო კედლებს და მაშინ გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ **ღრმად პატივცემული გრაფი გუდოვიჩი**, როგორც გუბერნიის მმართველი და მიუდგომელი პირი, სათანადო ყურადღებას მიაქცევს ლეჩხუმის დღევანდელს უხერხულ მდგომარეობას და ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ლეჩხუმის ცხოვრების განვითარების რყევას.

**ერთი მკვიდრთაგანი.**

## შემოწირულება

**სოფ. ქაქუთის მეჩეთის ახაგებად.**

ამასთანავე გაახლებთ ორმოც და ოთხ მანეთს, სოფ. ქაქუთის მეჩეთის ასაშენებელ თანხის მისამატებლად.

აქვე გთხოვთ გამოაცხადოთ შემომწირველთა სახელი და გვარი და შეწირულის რაოდენობა.

**თითო თუმანი:** ივანე ხაინდრავამ და ივანე სვანიშვილმა.

**ხუთ-ხუთი მან.:** ანჩისხატის ტაძრის დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ და პატარა ფატულია თართარაშვილის ასულმა.

**სამ-სამი მან.:** დიდუბის ეკკლესიის მთავარ-დიაკონმა გრიგოლ კონტრიძემ და ექიმმა დავ. ფალავამ.

**ორ-ორი მან.:** დარიკო მახარობლიძისამ, ალექსანდრე კავილაძემ და ანიკო მერკვილაძისამ.

**თითო მან.:** ნოშრევან მერკვილაძემ, მიხეილ მახარობლიძემ და სვიმონ ცოტაძემ

**ათ-ათი შაური:** გიგა მატარაძემ, მარგალიტა ქილარჯიშვილის ასულმა, ბიქტორა მატარაძემ და ალექსანდრე ხიმშიაშვილმა.

**სოსიკო მერკვილაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ | № 3, | 10.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 3.48 საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 დილ. |

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე** ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძიგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზეით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

# სუსუნატით (პონორეა)
# ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.

# რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

# იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „**ურიტალი**“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

# ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელი კურსი ეღირება 25 მან.

# უფასოდ

გაეგზავნება ფოსტით დაწვრილებითი ბროშიურა რუსულ ენაზედ ვინც 10 კაპ. მარკას გამოგვიგზავნის. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1,** напротивъ Государственнаго Банка.